ხუთშაბათი, 22 იანვარი 1925 წ. წელიწადი მესამე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კაპ.

დროშა

№ 2 (25) გაზ. „კომუნისტი“-ს სალიტ.-სამხატვრო ორკვირეული დამატება № 2 (25)

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე



ნ. ლენინი.

ლენინი

ლენინს მოუხდა მოღვაწეობა ორ ეპოქის მიჯნაზე.

კაპიტალიზმის განვითარების მწვერვალი და შემდეგ მისი დეკადანსი—ერთი მხრით, სოციალისტური რევოლიუციის დასაწყისი—მეორე მხრით.

ლენინი იყო საუკეთესო მცოდნე საზოგადოდ კაცობრიობის ისტორიის, კერძოდ ხსენებული ეპოქების. ის, ასე ვსთქვათ, ფიზიკურად განიცდიდა ძველი სამყაროს მოახლოებულ დაღუპვის აუცილებლობას და ასევე გრძნობდა შრომის სუფევის დამყარების აუცილებლობას.

საზოგადოებრივ ცხოვრების ანალიზის, მისი მომავალის განჭვრეტის საშუალება მას მისცა მარქსიზმმა.

ლენინი იყო უდიდესი მარქსისტი მარქსის შემდეგ. მან ხელმეორედ აღმოაჩინა რევოლიუციონური მარქსიზმი, სწორედ აღმოაჩინა, მიტომ რომ ის დამარხეს, გადაამახინჯეს მარქსის უშუალო მოწაფეებმა, ოპორტიუნისტებმა, რევიზიონისტებმა.

რევოლიუციონური მარქსიზმი ეს ისეთი ბასრი იარაღი იყო ლენინის ხელში, რომელიც გზას უკაფავდა მას სოციალურ სინამდვილის ბნელ და რთულ ლაბირინტში, ისეთი იარაღი, რომლითაც ის აშიშვლებდა საზოგადოებრივ ძალების და პირების ნამდვილ კლასობრივ სარჩულს და ამსხვრევდა ყველა მოწინააღმდეგეს, რომელიც შეეცდებოდა, ხშირად მარქსიზმის ნიღაბითაც, მუშათა კლასისთვის გზის დაბნევას.

ლენინი იყო ისეთი ადამიანი, რომელიც ისე შეუდარებლად იყენებდა მარქსიზმის მახვილ იარაღს, როგორც სხვა არავინ.

ბოლომდე დაცვა რევოლიუციონურ მარქსიზმისა ყოველგვარ შებღალვისაგან—ეს ერთ-ერთი უდიდესი დამსახურებაა ლენინისა მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე.

ლენინი არ ყოფილა მარქსიზმის თეორეტიკოსი, ამ სატყვის კაბინეტური აზრით.

კაცობრიობამ არ იცის მეორე სხვა პიროვნება, რომელსაც შეეზავებიოს ერთმანეთთან თეორია და პრაქტიკა, როგორც ლენინს. თეორია მისთვის საშუალება იყო რევოლიუციონურ მოქმედებისათვის. ლენინი არ იყო უსულო მწიგნობარი, არამედ მარქსიზმის ცოცხალი, რევოლიუციონური სულის მატარებელი. ლენინიზმი—ეს მარქსიზმია მოქმედებაში.

და არავის ახსოვს ისეთი მომქმედი პიროვნება, როგორც ლენინი. ის იყო განხორციელებული ნებისყოფა და ენერგია. რუსი მშრომელი ხალხის, და განა მარტო მისი, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის მთვლემარე პოტენციამ იხეთქა მასში ვულკანისებურად, გეოლოგიური სიძლიერით.

მას არ სჩვეოდა ინტელიგენტური მერყეობა, გაორება. ჰამლეტიზმის ნიშანწყალიც არ სჩანდა მის ბუნებაში, არც თეორიაში, არც პრაქტიკაში.

ეს იყო მთლიანი, ერთი ნაკვეთიდან გამოჭრილი არსება.

რა თქმა უნდა, ეს ოდნავადაც არ ნიშნავდა ლენინის აზრის სისუსტეს, უმოძრაობას. პირიქით, მისი დიალექტიური გონება განუწყვეტლად მუშაობდა და იძლეოდა მოვლენათა შეუდარებელ ანალიზს და პროგნოზს.

ასეთი მთლიანი და ფოლადისებური ნებისყოფის მატარებელი სწორედ ზედგამჭრილი იყო იმ ხანისათვის, როცა ლენინს წილად ხვდა მოღვაწეობა. ესაა, როგორც ვთქვით, ეპოქა პროლეტარულ რევოლიუციის ძველ სამყაროსთან სამკვდრო სასიცოცხლო შებმის.

აქ საჭირო იყო როგორც უსაშინელესი დამანგრეველი სტიქია, ისე უდიდესი შემოქმედებითი გაქანება, აღმშენებლობითი უნარი.

ორივე ეს თვისება ლენინს გააჩნდა ისეთი სიუხვით, როგორც არავის.

ის შეუბრალებლად ლეწდა დრომოჭმულ წარსულის ნაშთებს, ისე, როგორც ეს დამახასიათებელია ახალი ცხოვრების გენიალური შემომქმედისათვის.

აქ ის შორს იყო ყოველგვარ სენტიმენტალობიდან, მეშჩანური კაცთმოყვარეობისა და შებრალებიდან. მას ამოქმედებდა უაღრესი სიძულვილი მუშათა კლასის გაუსწორებელი მტრების მიმართ და ასეთივე სიყვარული მშრომელ მასების საქმისადმი, რევოლიუციისადმი.

რევოლიუციის გამარჯვება გამოსავალი წერტილი და უმაღლესი კანონი იყო ყველა მის მოქმედებაში.

ამავე დროს როგორი საკვირველი ამშენებელი იყო ის ახალი ქვეყნის.

მაგრამ აქ ის წარმოადგენდა არა უტოპისტს და ფანტაზიორს, რომელსაც ფეხიდან ეცლება ნიადაგი და ოცნების სამყაროში დანავარდობს, არამედ რეალურ პოლიტიკოსს, რომელიც თავის მოქმედებაში გამოდის არსებულ პირობების და საშუალებათა სწორი აღნუსხვიდან და ამასთან არასოდეს არ კარგავს მხედველობიდან შორეულ პერსპექტივებს და საბოლოო მიზნებს.

არსებულ მდგომარეობის, ძალების საშუალებათა შეფასებაში ის უსწრებდა ყველა თანამედროვეთ.

ამ მხრივ რად ღირს ლენინი, როგორც ავტორი ბრესტის ზავის, რომელმაც იხსნა რევოლიუცია; როგორც ავტორი ახალი ეკონომიური პოლიტიკის, რომელმაც აგრედვე იხსნა რევოლიუცია, და მრავალი სხ.

ლენინი უბადლო იყო არა მარტო ყველა ზემოხსენებულის მხრით, არამედ სხვა მრავალ მხრითაც.

იგი იყო პირველ ყოვლისა არაჩვეულებრივი ორგანიზატორი. მისი პირმშო შვილია ისეთი ჯერ უნახავი ორგანიზაცია, როგორიცაა ჩვენი კომუნისტური პარტია და კომუნისტური ინტერნაციონალი,—ეს მუშათა კლასის მოწინავე რაზმი და მსოფლიო რევოლიუციის მებაირახტრე. ლენინის საორგანიზაციო პრინციპები ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია. ცხოვრების მიერ მრავალჯერ გამოცდილი ლენინის პრინციპებზე აგებულმა პარტიამ არგუნა მუშათა კლასს გამარჯვება.

მაგრამ ლენინი არ იყო ორგანიზაციის, ასე ვსთქვათ, უსულო თეორეტიკოსი. ის იყო თვითონ სული, ნერვი, შემაერთებელი ცენტრი ორგანიზაციის.

ლენინი გადამბული იყო უთვალავი ძაფებით არა მარტო თავის პარტიასდან. ის იყო მსოფლიოს ათეულ მილიონ მშრომელთა ზრახვების, იმედების მესაიდუმლე და მატარებელი. არავინ იცის ისეთი უშუალო სულიერი კავშირი ბელადისა მასასთან, როგორც ამას აქვს ადგილი ლენინის პიროვნებაში. მუშათა კლასიდან ჭკვიფდა რა სასიცოცხლო ძალას, ის თავის მხრივ შთამგონებელი იყო უკანასკნელის.

და აი, ერთი წლის წინეთ შესწყდა ასეთი ბუმბერაზის მაჯისცემა. ბრმა ბუნებამ ბოლოს ფიზიკურად დაამარცხა ის ადამიანი, რომლისგან ძრწოდა ძველი სამყარო.

გლოვის ზარივით მოედო ეს ამბავი ყველა ქვეყნის მშრომელთ, განურჩევლად ეროვნებისა და რასისა, მიტომ რომ ლენინი იყო უპირველესი ადამიანი, რომელიც ზევით იდგა ყოველგვარ ნაციონალურ სივიწროვისაგან და იბრძოდა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის.

მეორე მხრივ, ლენინის გარდაცვალებამ ერთგვარი იმედი აღუძრა ყველა იმათ, ვინც ებღაუჭება ჩაგვრისა და მონობის სამყაროს, ყველა იმათ, ვისაც ლენინი სამარეს უთხრიდა.

ეგებ ლენინის სიკვდილით დაიშალოს მისი სიცოცხლის საქმე, დაირღვეს კომუნისტური პარტია, დაეცეს საბჭოთა ხელისუფლება და მუშათა კლასის მტრებს მიეცეთ საშუალება საბჭოთა კავშირში ძველი მდგომარეობის აღდგენის, ხოლო მთელ მსოფლიოში მომავალი რევოლიუციის დასამარების,—ასე ოცნებობდენ ისინი.

მაგრამ ეს იმედი, ისევე დაიმსხვრა, როგორც ამ ერთხელ დამსხვრეულა მათი სხვა ბევრი უსაფუძვლო იმედები.

ლენინი ასეთი დიდი ფიგურა არ იქნებოდა, რომ მის მიერ გაკეთებული საქმე მკვიდრ დუღაბზე არ იყოს აგებული, რომ შესაძლებელი იყოს ამ საქმის ჩაფუშვა ლენინის გარდაცვალებით.

ეს სავსებით ნათელი გახდა ერთი წლის განმავლობაში.

თვით ლენინის სიკვდილი წყარო შეიქნა მშრომელი მასსების უჩვეულო ამოძრავების და პარტიის გარშემო მათი შემოკრების: ორასი ათასი საუკეთესო ნამდვილ, დაზგასთან მდგარი მუშა შეემატა პარტიას.

მთელი პარტია გადაუხრელად მისდევს ლენინის გზას, მაღლა უჭერია ლენინიზმის შეუბღალავი დროშა.

იყო კი ცდა ამ დროშის შებღალვის, ლენინიზმის დამახინჯების. პარტიამ იშვიათი ერთსულოვნობით, როგორც ერთმა კაცმა, უარყო ეს ცდა და უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები ლენინიზმის დროშის ქვეშ.

ბელადის სიკვდილის წლის თავს პარტია ხვდება გაძლიერებული, მთლიანი შემჭიდროებული, მშრომელ მასებთან უფრო გადაკავშირებული.

დღეს, ლენინის გარდაცვალების წლის თავზე, პარტია ერთხელ კიდევ დასდებს ფიცს, რომ ის არ გადაუხვევს თავის ბელადის გზას, ორნაირად შეასრულებს მის ანდერძს.

ლენინი

მისი სახელი დიდ რუსეთზე უდიდესია,
ვერ შეედრება ვერც პუშკინი, ვერც პეტრე დიდი;
ის იყო ყველა გაყვლეფილთა მხსნელი მესია,
მან ააფეთქა კლასთა შორის თანხმობის ხიდი.
სამოქალაქო ბრძოლის ,ეცხლიც მან გააჩაღა,
რომლის დანახვაც იტაცებდა მამაცთა გულებს;
ცას აწითლებდნენ ყუმბარები და ბაირაღად
თავს დაჰნათოდათ თავ-დადებულ აჯანყებულებს.
და გაიმარჯვეს!..

. . . . . .

. . . . . .

მეექვსედ ნაწილს უზარმაზარ დედამიწისას
დაეპატრონა დიქტატორი—ხალხი მშრომელი.
ის შეასრულებს წმინდა ანდერძს დიდ ბელადისას
და ეს იქნება მისი ძეგლი, ძეგლი რომელიც
გაუძლებს ყველა ქარიშხლიან საუკუნეებს—

გ. ქუჩიშვილი

ლ ე ნ ი ნ

ერთი წლის წინეთ

ისტორიას თავის დიად მოვლენათა შორის ჯერ არ ახსოვს ისეთი ძლიერი და ყველას შემაძრწუნებელი ხმა როგორც

ორი სიტყვა—

ერთი წლის წინათ რომ გაისმა—

ლენინი მოკვდა.

ამ ორმა სიტყვამ შესძრა მთელი კაცობრიობა და აგრძნობინა სტიქიონურ სიძლიერით რომ მოხდა რაღაც-ოშვიათი, საყოველთაო.

ასეთი სიხარბით ქვეყნიერებას თავის დასაბამიდან ჯერ არ მოუსმენია არც ერთი ამბავი. დედამიწის სხვა და სხვა კუთხეში ყველას აზრი იმეორებდა მაშინ ორ სიტყვას:

ლენინი მოკვდა.

ამ ორი სიტყვის გარშემო ტრიალებდა მთელი ამოცანა ეპოქისა. მასში იყო ჩადუღებული რაღაც გადამწყვეტი, რაღაც შემარყეველი მსოფლიო ბედიღბლისა.

მეფე და მეეტლე, პრეზიდენტი და მწყემსი, ავიატორი და მემაღაროე, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის, პოლიუსიდან პოლიუსამდის რაღაცის მომასწავებელ ჭრუანტელით და საიდუმლლებით იმეორებდენ ამ ორ სიტყვას—

ლენინი მოკვდა.

მაგრამ ყველაზე ძლიერად საბჭოთა ქვეყნებში გაისმოდა ეს კაცობრიობის შემარყეველი სიტყვები. აქ დაუქმდა ყველა აზრი და ყველას დაეუჯლა ეს ორი სიტყვა.

შავი დროშები, ქალაქის მუნჯი კედლები, მუსიკის ხმაური და ქარხნების გამურული საყვირები გოდებით იმეორებდენ მეორეთ მოსვლისავით:

ლენინი მოკვდა.

და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი კი წუთიერათ ქედმოხრილი თვით მთელ სამყაროს გასაგონათ გასძახოდა

ლენინი მოკვდა!

მაგრამ სცოცხლობს ლენინიზმი!

ვინ იყო ლენინი?

ადამიანთა მოდგმას ერთი უბედურება ახასიათებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების ჩასახვიდან.

ეს არის ქონებრივ ნიადაგზე აღმოცენებული—

მონობა და ბატონობა.

ამ უბედურების ღერძზე ტრიალებს უკეღმართად მთელი ცხოვრების ჩარხი და აქედან აღმოცენდება შემდეგ ათასგვარი სხვა ტკივილები კაცობრიობისა.

ისტორიის ხსოვნაში ხშირად ყოფილა ასეთი დრო, როცა მონებს გაწყდომიათ მოთმენების ფიალა და ამხედრებულან ბატონთა წინააღმდეგ.

მაგრამ უკიდურეს სასოწარკვეთით გამოწვეული ეს წუთიერი შეკვეთება ისევ ჩქარა გადაქცეულა უფრო სასტიკ მონობათ.

ათასი წლების განმავლობაში ასეთის წამებით ვითარდებოდა კაცობრიობა.

ბოლოს მოვედით იმ ბურჟუაზიულ ეპოქამდის, სადაც უმაღლესათ დამთავრებულ სახეს იღებს ეს მონობა და ბატონობა.

ამაზე შორს თითქოს აღარ შეიძლებება სიარული ამ გზით.

აქ ,ენდა მოხდეს საბედისწერო შეკვეთება ორ მსოფლიოსი.

აქ უნდა გადასწყდეს სამუდამოთ ბედი, თუ ვინ ჩაუდგეს მონავალ მსოფლიოს სათავეში:

ისევ ბატონი, თუ მხრებში გამართული და განთავისუფლებული მონა?

ბურჟუაზია თუ პროლეტარიატი?

მთელი ერთი საუკუნე ხდება ამ არ ძალთა სამზადისი.

და აი ბოლოს ლენინმა გამოიყვანა კიდეც ბრძოლის ასპარეზზე ეს ორი ქვეყანა და შექმნა ორი შეურიგებელი ფრონტი, სადაც ბედი ბურჟუაზიისა წინასწარ ანდერძ-აგებულათ წარმოგვიდგება.

მშრომელთა განთავისუფლების აზრსა და მოწოდებას ლენინმა ჩაჰბერა სულ ახალი მებრძოლი სული, გადამწყვეტი სული.

ეს იყო ფოლადის რწმენით შეკრული დევიზი:

დიქტატურა პროლეტარიატისა!

მაგრამ ლენინმა არ აკმარა მარტო დევიზი.

დევიზთან ერთად წითელ დროშასაც დაავლო ხელი და მსოფლიო უბედურობით, მსოფლიო ომით დარაზმულ და ამხედრებულ მშრომელთა კლასს გაუძღვა წინ გასამარჯვებელ ბრძოლაში.

ბურჟუაზიულ ევროპის კარებზე მან შექმნა პროლეტარული სახელმწიფო და აქედან მიაქვს იერიში საუკუნოებით განმტკიცებულ მტრის სიმაგრეზე.

აქედან გზავნიდა რადიოს ტალღებივით რევოლიუციურ გზნებას ბურჟუაზიის სხვა და სხვა სამფლობელოში.

აქედან დაცემული ბრძოლის ყიჟინა გულში სწვდებოდა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და აღამხედრებდა გამძვინვარებულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ლენინის მჭექარე ხმა განთავისუფლებისა—არყევს მთელ ქვეყნიერებას და ქარიშხალივით შეიჭრება ჩინეთის კედლებში, ავღანისტანის მთებში, ოსმალეთის სოფლებში, აფრიკის უდაბნოებში და ყველგან, სადაც კი საჭიროა ბრძოლა და განთავისუფლება.

შეიჭრება და ამ ხმასთან ერთად კიდეც გაჩაღდება ხოლმე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

დიაღ ლენინმა განა მარტო მოუწოდა მუშათა კლასს! მან დარაზმა და გამოიყვანა შეურიგებელ ბრძოლაში და თვითონ ჩაუდგა სათავეში პირველ მებრძოლათ, პირველ მედროშეთ, უდიდეს, სარდლათ!

პროლეტარიატის დამხმარე ძალებათ მობილიზაცია უყო მთელი კვეყნის დაჩაგრულ ერებს და ამითი სამუდამოთი შეურყია საძირკველი მსოფლიო ბურჟუაზიას.

——

ერთი წლის შემდეგ.

მართალია დაეცა ბელადი, მაგრამ მისგან გაწვრთნილი რაზმები უფრო მედგარ იერიშებს აწარმოებენ ბურჟუაზიის ციხე-ქალაქზე.

ისეთი დროული, ისეთი სწორე და სამართლიანი იყო მისგან დაწყებული გადამწყვეტი შეკვეთება, რომ ბელადის ხორციელი ჩამოშორება ვეღარ შეანელებდა დაწყებულ ბრძოლას.

ამაო გამოდგა ბურჟუაზიის სიხარული, თითქოს ბელადთან ერთად დაიშლებოდენ მისი ფოლადის რაზმებიც.

არა! ეს რაზმები უფრო იზრდებიან, უფრო ძლიერდებიან და უფრო წინ მიდიან ქვეყნის შემაძრწუნებელ ყიჟინით:

ლენინი მოკვდა!

მაგრამ სცოცხლობს ლენინიზმი!

ლ—ი.

უფრო ამაღლდა!

შარშანდელს აქეთ ერთი წელია,
რაც გენიოსმა ობლად დაგვტოვა,
ოჰ, რა მწველი და საშინელია
ასეთი ცრემლი, ასეთი გლოვა!
მოკვდა ლენინი, დიდი ლენინი,
ბუნებამ დასდვა თავისი მსჯავრი,
დამწუხრდა ტანჯულთ სული დევნილი,
დევნილი, მაგრამ გმირი და მძლავრი.
ჰოი, მაშვრალო, ღრმა-გრძნობიერო,
არ შეაჩერო ბორბალში ღერძი,
ხელში გიპყრია სამაგიერო
მტკიცე იმედი, მტკიცე ანდერძი.
მოკვდა ლენინი და მის იდეა
უფრო გაკაჟდა, უფრო გამაგრდა;
მზის ასპარეზი კიდით-კიდეა
და მაოფლიოში მისთვის ამაღლდა.

გიგო ხეჩუაშვილი.

ლენინის კუთხე (ერთი ნაწილი) ს. ს. რ. კ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის ა. რიკოვის კაბინეტში.

ლენინელებს!

ლენინელებო! გასწორდით, სმენა...
დათვალეთ რიგში რკინის ბრძანება:
რევოლიუციამ კიდევ ახსენა
შავი დროების გარდაცვალება!
დღეს კატასტროფა ელის დასავლეთს—
— ის ცეცხლის ალში დაწვით მოკვდება...
შენ—ოქტომპერო! ბევრს დაასწავლე
ცხოვრების ხარბათ აწიოკება!
სადაც შენი ხმა ქუხდა მეხივით
იქვე სიკვდილის ორმო გათხარე:
ძველი ევროპა ტანმოგრეხილი
შენს მოლოდინში ზანტად ამთქნარებს!
იცის: წარღვნის დღე უკვე მოვიდა,
სტკბება სიმხეცით და პირშაობით:
შურისძიების ეშაფოტიდან
კომუნარების სისხლი ჩამორბის!
ძველო ევროპავ! კომუნის შვილებს
მაინც ვერ მოსპობ დაცინვით—თრევით...
ძველო ევროპავ! ვერ შეგვაშინებ
ყვითელ ოოკებით და ცილინდრებით!
შენს ბედს სიკვდილი ზიზღით უცინის,
სიკვდილისფერი წვიმა გასველებს...
და მძლე დანთება რევოლიუციის
ყოფნის საზღვარზე ალარ გასვენებს!
ჩვენ არ გვაშინებს მუქარა შენი,
ჩვენსკენ უბრალოთ მოეტანები·
იცოდე: მხოლოდ კომუნას შექმნის
ოფლში გაზრდილი პროლეტარები!
ჩვენ ვართ მრავალი და უპყრობელი.
აზიურ შფოთვით მონობას ვებრძვით:
დღეს ჩვენს კისერზე უნდა გადატყდეს
ბებერ ცხოვრების დამპალი ღერძი!
ახლოა ბრძოლა უკანასკნელი.
ლენინელებო, გასწორდით, სმენა:
არ უღალატებთ ჩვენს ძვირფას ლენინს,
არ უღალატებთ მის დიად რწმენას!

ა. ბუმერანგი (მაშაშვილი)

გლოვა ლენინზე.

გაივლის წლები
ასი,
ათასი,
მაგრამ ლენინის ხსოვნას,
სიყვარულს,
არ დაივიწყებს
მშრომელი კლასი...
მარად იქნება
ძლევა მოსილი,
მისი სიტყვები
ჩვენთვის ძვირფასი!..
მუდამ იქნება
შვების მომგვრელი
სამარადისო
დიადი განძი...

—

მშრომელო ხალხო,
ალარ გვყავს ეხლა
მასწავლებელი,
გმირი,
ბელადი
თავდადებული,
საკაცობრიო
იდეალებით
წინსვლის წყურვილით
გატაცებული,
თვით ცხოვრებაში
სადა, უბრალო,
მაგრამ ბრძოლის დროს
ძძლე, გაბედული.—
მან შორს
გასჭვრიტა
ქვეყნის მომავალს.
მტერთა ბანაკი ააყირავა,
ნაცვლად სამეფო
მუშურ-გლეხური,
შეაკავშირა და ააყვავა...

—

ვადიდოთ მისი
ბრძოლის ხაზები
მან გამარჯვების
გვასწავლა გზები...

მუშა სით ხიდისთაველი.

ორატორი

(ლენინს)

ხალხი უამრავი,
როგორც ტალღა ზღვაში
ისე მღელვარებს...
სახეები მრავალი მწუხარე და მოწყენილი
ირევა ლანდებივით...
მძლე და მედგარი,
მაგრამ მაინც გადაჩრდილული
გაჰკივის ვიღაც:
მე ვიღებ სიტყვას...
ამხანაგებო!..
შარშან ჩაქრა მზერა წყვილი თვალების,
სადაც ლამპრებათ ენთო გენია
და შუბლი,
რომელზედაც ჩაგრული
პოულობდა გზას,
გაცივდა...
აქ, ამ სიტყვებზე ცივ ჟრუანტელმა
დაიარა ელექტრონივით
და ხალხი აძაგძაგდა...
ორატორი მკლავს უშვებს ძირს,
თავს ღუნავს... განაგრძობს ისევ:
მე არ ვარ ბავში,
რომ მწუხარება გამოვთქვა ცრემლით...
უნდა შევიყვაროთ ბრძოლის
მარში
და ცხოვრების გრდემლი
ისე ავახმაუროთ,
რომ ძლიერ მკლავს და
მძიმე ჩაქუჩს
ვერ გაუძლოს მიწის სიმაგრემ.
დღეს ერთხელ კიდევ,
ამხანაგებო!
როგორც ყოველთვის
დავენდოთ სიტყვას
ლაღად აფრენილს
და მოგიწოდებთ
წუხილს კი არა,
არამედ ბრძოლას,
სად გამარჯვების
ნათელ რწმენად
აანთებთ ლენინს...

ვ. პოლუმორდვინოვი.

წლის თავზე.

შენმა ანდერძმა
ძალა მოგვცა
დაუშრეტელი.
ყველა მხარეზე
გამოფხიზლდა
მშრომელთ ჯარები.
თროთის და კანკალებს
მტარვალობა
შეძრწუნებული
ათას ქეცობით
გვემატება
მებრძოლთ ძალები.
გამხნევებულნი
შრომით, ბრძოლით
წინ მიილტვიან
მწარ წარსულისგან
გატანჯულნი
განაწამები.
დღეს თავის ბედის
მესვეურნი
თვითვე ხდებიან
საჭეც ეპყრათ
მომარჯვებით.
ვენაცვალები.
ალთქმის ქვეყნისკენ
ჩვენი გემი
მიექანება
აფრა გაშლილი
წითლად მოსჩანს
იალქნები.

შაქრო ნავთლუღელი.

9 იანვარი

ხალხი არ ივიწყებს დალუპულ სახეებს,
ის დღესაც იგონებს სისხლიან წელიწადს;
ვერ სცდება სიცოცხლის უბედურ ნახევებს
და ცრემლებს ამძივებს მწარე სიმღერიდან...
როგორღაც გამოკრთის მწუხარე ფარდებით
შუბლიდან გამურულ კედლების სიმტკიცე...
სასახლეს არ სწამდა ტანჯვა და დარდების,
როდესაც მშრომელთან ძმობაში იფიცებს.
ქუჩებში ქარბუქად ქროლავდა ქაოსი,
გმინავდა გაუმტყდარ გულების გაპობა;
სასახლე შემქნელი ყრუ სასაფლაოსი
უბედურ ხალხისგან სისხლს სვამდა საყოფად...
იფეთქა სიმწარემ მტრულ გამოძახილად,
დატანჯულ დედებმა დაბადა ცეცხლები,—
სიცოცხლის სურვილმა თვალი გაახილა
და მოხსნა სასახლეს ოქრო და ვერცხლები...
დღეს კიდევ იგონებს მშრომელი მოძმეებს
ტანჯვა და ვაება სისხლში რომ დაფერა,—
ათასი სიცოცხლე სწყევლიდა უნდო ბედს,
ათასი სიცოცხლე ებრძოდა წამებას.

ე. პ—ვი.

9 იანვარი

ცხრა იანვარს რუსეთის მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობაში სულ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

რევოლიუციის ისტორიაში ეს რიცხვი მოსჩანს ყველაზე უმაღლეს კორლანივით.

ამ დრომდის ყველაზე თავგანწირული ბრძოლა ცალკე პირებისა თუ ჯგუფებისა თითქოს მხოლოდ სამზადისს წარმოადგენდა. ცხრა იანვრიდან კი იწყება ნამდვილი გაშლილი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მთელი მშრომელი ხალხისა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

აქ დაიმარხა ყოველივე მშვიდობიან მორიგების შესაძლებლობა მეფურ მთავრობასთან. აქ დაიბადა უსასტიკესი რევოლიუციური რწმენა, რომ მხოლოდ დაუზოგავი, თავდადებული ბრძოლით შეიძლება პოლიტიკურ და ეკონომიურ მტრის დამხობა და მშრომელთ უფლების გაბატონება.

უკვე ოცი წელი შესრულდა ამ ისტორიული დღის შემდეგ და ურიგო არ იქნება მოკლეთ მაინც მოვაგონოთ ჩვენ მკითხველებს მაშინდელი დიადი ამბები.

ცხრა იანვრის წინ.

იაპონიის ომითა და თვითმპყრობელობის სიმძიმით შეწუხებული ხალხი უკვე ნელ-ნელა იწყებდა დრტვინვას. ყრუ უკმაყოფილება ყველგან იყო დაგუბებული, მაგრამ ჯერ ვერ ეპოვა თავის ნამდვილი გამოსავალი.

რევოლიუციური პარტიები ჯერ კიდევ ვერ გასცილებოდენ საიდუმლო სარდაფებს და ვერ აეღოთ ხელში ფართე მასების მოძრაობის სადავე.

მაგრამ რევოლიუციური ხანძარის ნიადაგი უკვე დამზადებული იყო. მხოლოდ საჭირო იყო ერთი დაკვესება. და ეს საბედისწერო დაკვესებაც მოხდა სწორეთ 9 იანვარს.

პირველი უკმაყოფილება დაიწყო სულ უმნიშვნელო ამბებით 3 იანვარს და ექვსი დღის შემდეგ კი იგი იქცა თითქოს საერთაშორისო მოვლენათ.

3 იანვარს პუტილოვის ქარხნიდან დაითხოვეს 3 მუშა. ამან გამოიწვია საერთო უკმაყოფილება და 4 იანვარს მთელ ქარხანას შოედო გაფიცვა.

13.000 მუშა ასე მოულოდნელათა და ერთსულოვნათ გაფიცული ჯერ არ ახსოვდა მუშათა მოძრაობას.

მაშინათვე გაიმართა კრებები და აირჩიეს დელეგაცია ქარხნის გამგეობასთან მოსალაპარაკებლათ.

მოთხოვნილება იყო წმინდა ეკონომიური. შეეხებოდა სულ პატარა საკითხებს, რომელიც არ სცილდებოდა თვით პუტილოვის ქარხნის ფარგლებს.

დელეგაციის თავსჯდომარეთ არჩეული იყო მღვდელი გაპონი.

ქარხნის გამგეობამ არ დააკმაყოფილა მუშათა მოთხოვნილება.

უკმაყოფილება უფრო იზრდება და ედება სხვა ქარხნებსაც.

3 იანვარს გაიფიცა „ფრანკ- რუსთა საზოგადოების ქარხანა",

5 იანვარს—„ნევის საზოგადოების" ქარხანა, შტიგლეცის საქსოვი ფაბრიკა, ობუხოვის ქარხანა, ეკატერინგოფის საქსოვი ფაბრიკა და სხვა მრავალი.

6 და 7 იანვარს გაფიცვა მოედო მთელ ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნებს.

გაფიცულთა რიცხვი ადის 200.000-დე.

რევოლიუციური პარტიები თუმცა ყოველნაირათ სცდილობენ მოძრაობის სადავეს ხელში ჩაგდებას, მაგრამ მუშათა საერთო განწყობილება სულ სხვანაირია.

ესე რევოლიუციურათ გამოსული მშრომელი კლასი მაინც ჯერ კიდევ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანის გზით და კეთილი სურვილით ყველაფერ თავის საწადელს შეისრულებს.

პირველ დღეებში წამოყენებული წმინდა ეკონომიური მოთხოვნილებით აღარა კმაყოფილდება ქუჩაში გამოსული ლენინგრადის პროლეტარიატი.

არც-მეტი არც ნაკლები—ის უკვე მოითხოვს დამფუძნებელი კრების მოწვევას ოთხ-ფორმალიანი არჩევნების სისტემით.

მაგრამ მაინც ეს უნდათ მიიღონ მეფის წყალობით.

აი მაგალითად როგორ სწერენ ისინი მეფისადმი მისართმევ პეტიციაში, რომელიც უნდა დიდის ზეიმით და მოწიწებით მიართვან საზამთრო სასახლეში:

„...საჭიროა, რომ თვითონ ხალხი გშველოდეს შენ! ხომ თვითონ ხალხს ყველაზე უკეთესად ესმის თავის ნამდვილი გასაჭირი. ვინც უნდა იყვეს და რაც უნდა იყვეს, დაე, ყველამ თვითონ აირჩიოს თავის წარმომადგენელი. დაე ყოველი მოქალაქე იყვეს თანასწორი და თავისუფალი საარჩევნო უფლებაში. ამიტომ უბრძანე, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდეს საყოველთაო, საიდუმლო, პირდაპირი და თანასწორი კენჭის მიცემით. **ეს არის ჩვენი უმთავრესი თხოვნა. იმაზეა დამყარებული ყველაფერი იმედები.** მაგრამ ეს ერთი რამე მაინც ვერ განკურნავს მთელ ჩვენ ჭრილობებს. საჭიროა კიდევ სხვა რამეები, რაზეც პირდაპირ და გულახდილათ გეუბნებით შენ, ხელმწიფევ!

I. რუსი ხალხის უუფლებობისა და უვიცობის წინააღმდეგ ზომების მიღება.

II. ხალხის სიღარიბის წინააღმდეგ ზომების მიღება.

III. კაპიტალის მიერ შრომის დაჩაგვრის წინააღმდეგ ზომების მიღება.

აი ხელმწიფევ ჩვენი უმთავრესი საჭიროებანი, რომლითაც მოგმართავთ შენ. ... უბრძანე და თანაც შეჰფიცე, შეასრულებ მათ. ამგვარათ რუსეთს გახდი დიდებულათ, და ბედნიერათ, შენ სახელს კი აღბეჭდავ ჩვენ გულში და ჩვენ შთამომავლობათა გულშიც სამარადისოდ. მაგრამ თუ ნებას არ მოგვცემ და არ შეისმენ ჩვენს ვედრებას, მაშინ ჩვენ დავიხოცებით აქ, ამ მოედანზე, სასახლის წინ. ჩვენ ამის იქით აღარსად არ წაგვეხვლება. ჩვენ გვაქვს ორი გზა: ან ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ, ან—სამარისკენ".

აი ამ თხოვნით გადასწყვიტეს მეფის კარზე მისვლა.

მთელ ამ მოძრაობაში უდიდეს და უმთავრეს როლს თამაშობდა გიორგი გაპონი.

ვინ იყო გიორგი გაპონი.

გაპონი იყო პოლტაველი გლეხის შვილი. ჯერ სწავლობდა სემინარიაში. შემდეგ მსახურობდა ერობაში მწერლათ. იგი ერთხანად გატაცებული იყო ტოლსტოის მოძღვრებით და სულ ხალხის სამსახურზე ფიქრობდა. ზოგიერთა გულკეთილი პირების დახმარებით მან მოახერხა ლენინგრადის აკადემიაში შესვლა, სადაც ოთხი წელიწადი დაჰყო და დაამთავრა 1898 წ.

ბოლოს როგორც გამოირკვა—გაპონი პოლიციის დეპარტამენტის ნამდვილი თანამშრომელი გამოდგა და ისეც მოუსპეს სიცოცხლე, მაგრამ როდის დაიწყო მან ეს თანამშრომლობა ნამდვილათ—ეს ჯერ გამოურკვეველი არის.

მხოლოდ აკადემიაში ყოფნისავე მას ძალიან ეინტერესებოდა უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრება და მათთან დაახლოვება. განსაკუთრებით ხშირად დაიარებოდა პუტილოვის ქარხანაში და ძალიანაც დაუახლოვდა იქაურ მუშებს.

აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი დანიშნეს სანკტ-პეტერბურგის ეკლესიის მღვდლათ.

დაიწყო თუ არა მუშათა საერთო მოძრაობა, მაშინათვე სათავეში გაპონი მოექცა. მაშინ იმისი პირადი გავლენა მუშათა მასებზე ძლიერი იყო.

გაპონი ყოველნაირათ სცდილობდა, რომ მუშათა აზვირთებულ მოძრაობას არ მიეღო პოლიტიკური ხასიათი, მაგრამ სტიქიამ თავისი გაიტანა და სამეფოდ გამზადებულ პეტიციაში პირველი ადგილი დამფუძნებელ კრებას ეჭირა.

მეტი ღონე აღარ იყო. გაპონიც უნდა დაჰმორჩილებოდა ამ შეუბორკავ სტიქიონს, თუ უნდოდა, რომ ბოლომდის შერჩენოდა მეთაურობა.

9 იანვრის ღლე.

გადაწყდა ეს პეტიცია მიართვას მთელმა ხალხმა მეფეს, სასახლის კარზე 9 იანვარს.

ამის შესახებ გაპონმა კიდევაც აცნობა წინასწარ მთავრობას, რომელსაც ჯერ ვერასგზით ვერ გადაეწყვიტა—ნება დართულ იყვეს თუ არა ეს უმაგალითო მოზღვავება ხალხისა მეფის კარ წინ.

მოვლენები კი მოვლენებს ემატებოდა სტიქიურათ და მის შეჩერება აღარასგზით აღარ შეიძლებოდა.

რევოლიუციური პარტიები შეგნებულათ იყვნენ დარწმუნებული, რომ ასეთი პეტიციებით არაფერი გამოვა და შეიძლება ზედ დიდი უბედურებაც დართოდა. მაგრამ ამ პარტიებს მაშინ მხოლოდ მცირე შეგნებულ ნაწილზე ჰქონდათ გავლენა. მთელ ასი-ათასიან მუშათა მასებზე კი მხოლოდ გაპონსა ჰქონდა რაღაც ჯადოსნური გავლენა და ყველაც მას ისახავდა მეთაურათ.

(რა იცოდენ, რომ ეს ორასი-ათასი მუშისაგან გაღმერთებული პიროვნება იმავე დროს პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელიც იყო!)

9 იანვარს დილიდანვე შეუდგათ მუშებს საყოველთაო მზადება.

მთავარ შესაკრებელ ადგილად არჩეულ იყო პუტილოვის ქარხანის რაიონი „ნარვის ბჭენი“.

აქ დაგროვდა რამდენიმე ათეული ათასი მუშა. წინ გაუძღვა ანაფორაში შემოსილი გაპონი და მრავალ საეკლესიო დროშების ფრიალით გაემართენ საზამთრო სასახლისაკენ.

სხვა რაიონებიდანაც წამოვიდენ ასეთივე დემონსტრაციები საეკლესიო დროშებით, რომლებიც უნდა შეხვედროდენ ერთმანეთს სასახლის მოედანზე.

სრულ ორ საათზე მთელი მშრომელი პეტროგრადი თავმოყრილია ერთად. ამ შავი ხალხით არის გაჭედილი საადმირალო ქუჩა და ბაღი, ნევის პროსპექტის დასაწყისი, სასახლე ხიდის არე-მარე და თვით სასახლის მოედანი.

ამ ზღვა ხალხთან არის კიდევ შეერთებუ-ათი-ათასობით ცნობის მოყვარენი.

ქუჩისა და ბაღის ხეები დახუნძლულია პატარა ცნობის მოყვარე ბიჭებით.

მრავალი მუშა ცოლ-შვილიანათ წამოსულა, ისეთი დიდი იყო მათში რწმენა მშვიდობიანობისა.

ყველა ელის მეფის დანახვას. ყველა დარწმუნებულია, რომ იგი გაიღებს დიდ წყალობის მთელი ხალხის სასიკეთოდ და საბედნიეროთ.

...მაგრამ მოულოდნელათ გაისმა დამაყრუებელი გრიალი თოფებისა. ამას ზედ მოჰყვა წვივილ-კივილი, არევ-დარევა, ხმაური კვნესა და საერთო გოდება.

დამფრთხალი ხალხი შავ ფარასავით გარბის სხვა და სხვა ქუჩებით. ასობით დაჭრილ დახოცილი სისხლათ იცლება გაოხრებული მოედანზე. ხეებზე მყოფი პატარა ბიჭები ეხლა ბეღურებივით ჰყრიან მიწაზე ჯალათების ტყვეთი დაცხავებული.

როცა ხალხი გაიფანტა სავსებით, ალაგობრივ დარჩა რამოდენიმე ასეული კვდარი და ათასამდე დაჭრილიც.

ამ დღეს სამუდამოთ დაიმარხა ყოველივე რწმენა, რომ ხალხს შეუძლიან მშვიდობიანის გზით თავის უფლებათა მოპოვება.

ამ დღეს დაიხვრიტა ხალხის სიყვარული მეფისადმი.

ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი შეურიგებელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

და ბოლოს ეს ბრძოლა კიდევაც დამთავრდა სრულის გამარჯვებით.

მაშინდელ დამსწრეთაგან ვინ იფიქრებდა, რომ ოცი წლის თავზე უკვე მეშვიდე რევოლიუციური მოგონება იქნებოდა 9 იანვრისა.

და ისტორიაში სანამ რევოლიუციურ ბრძოლას ექნება თავისი მნიშვნელობა, **9 იანვარი** მუდამ დარჩება უდიდეს დატათ, რომელსაც ვერ წაშლის ვერც ერთი დროება.

მოამბე.

ჯითელი თოვლი

9 იანვარი.

1905—1925 წ.

1

ზამთარი იდგა...

სპეტაკი თოვლის ნაზი ფიფქები ტყემალის გაცვივნილ თეთრ ყვავილებივით ირეოდნენ ჰაერში და ფრთებ-მოკანკცულ სათუთ პეპელებივით ნელნელა ეშვებოდნენ დედამიწაზე.

ქალაქი პეტერბურგი (ღღეს ლენინგრადი) ქალწულებრივ ნისლის სამოსელში იყო გახვეული...

დილის 6 საათი სრულდებოდა...

ფაბრიკა-ქარხნების საყვირთა ხმა-შეწყობილი ჰახგები შორით-შორს იფანტებოდა.

ეს იყო საგათენებო პირველი ჰიმნი.

ეს იყო შრომის სიმღერა.

ეს იყო მიძინებულ ქალაქის აღდგომის ზარი.

იგი მოუთმენლად ელოდა მუშათა უბნების გამოხმაურებას, მათ შავ-ტალღათა გარედ გამოშლას და...

უსტვენს, უყივის...
არსად ფეხის ხმა...
არსად ჭაჭანება...
დრო მიდის...

საყვირები კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებენ თავიანთ ლაშქრებს საძუშაოსკენ, ქარხნებისკენ...

მუშები მაინც არა სჩანან...

რა ამბავია?

დაცარიელებულ ქუჩებში აქა-იქ მხოლოდ თითო ოროლა „გოროდოვოი“ და მეეზოვე თუ მიბაკუნებს ყრუდ...

— უუუ!—ერთხელ კიდეკ შეარხია ჰაერი მრავალხმიან საყვირთა გუგუნმა და...

— აი, ხმის ჩაწყვეტა შენი!—გულმოსულად ჩაილაპარაკა თავისთვის პუტილოვის ქარხნის მუშამ, ფედია კუზნეცოვმა, რომელიც ჯერ ისევ ლოგინში იწვა და, გვერდი იბრუნა.

— რამ დაგაყრუა, ადამიანო, არ გესმის საყვირის ხმა?—გამოელაპარაკა ფედიას მისი ცოლი ნასტია.

— მესმის, დედაკაცო, როგორ არ მესმის.., არამც თუ ძილში, მგონია სამარეშიაც კი გავიგონო მაგისი ხმა, ისე შეეჩვია ჩემი ყურთა სმენა.

— მაშ, შამფურივით რაღასა ტრიალებ მაგ ლოგინში? ხომ იცი თქვენი ქარხნის დირექტორის ჯიუტი ხასიათი: ერთის წუთითაც რომ დაგაგვიანდეს, საძუშაოზე აღარ დაგიშვებს.

დაშვებით კი, სიხარულით დამიშვებს, ჩემო ნასტია, მაგრამ ვეღარ მიეართვი.

— ადექი ერთი, შენს გახარებას, რა დროს ხუმრობაა, გიგვიანდება.

— არა ვხუმრობ, მართალს გეუბნები: შემეხვეწება კიდეც, თუ გამოვცხადდი სამუშაოდ.

— მაშ, რაღას იგვიანებ, ადექი რაღა, შეკაი კაცო.

— დაგვიანებულიც არის და მორჩომილიც.

— რას ამბობ, რას, მაშ ეს საყვირები რაღას ღრიალებენ, ვის მოუწოდებენ?

— ვისა და, ჩვენ.

— რათა, რისთვის?

— სამუშაოდ.

— აკი დაგვიანებულიაო?

— აბა დაჰხედე საათს.

ცოლმა დაჰხედა საათს და გაკვირვებით წამოიძახა:

— 8 საათია სრული!

— ეხლაც არ დაიჯერებ, რომ დაგვიანებულია?

— ვერაფერი გამიგია შენი.

— ნუ ჩქარობ, ყველაფერს მოესწრები.

— მაინც რა ამბავია, რაშია საქმე?

— გაფიცვაა, დედაკაცო, გაფიცვა.

— რის გაფიცვა, რა გაფიცვა?

— რისა და, ჩვენი გაფიცვა, გესმის, მუშათა გაფიცვა.

— მერე-

— მერე ისა, რომ აღარ მივდივართ სამუშაოთ, მორჩა და გათავდა.

— რათა, რისთვის?

მისთვის, რომ ჩვენი ქარხნის ადმინისტრაციამ ამას წინათ სრულიად უმიზეზოთ ოთხი გამოცდილი მუშა დაითხოვა.

— მერე, არა სთხოვეთ უკანვე მიღება?

— ვსთხოვეთ, როგორ არა ვსთხოვეთ.

— მერე?

— უარით გვიპასუხეს.

— მერე?

— მეტი რაღა დაგვრჩენოდა, ჩვენც ჩვენი ერთსულოვანი გაფიცვით ვუპასუხეთ.

— ჰმ, ღირდა განი ოთხი მუშისათვის ამდენი ხალხის გაცდენა?

— რას როშავ, დედაკაცო, რას. რა იცი, რომ ჩვენც იმ ოთხი მუშის გზას არ გაგვიყენებენ; რა იცი, რომ ხვალ თუ ზეგ ჩვენც ქუჩაში არ გამოგვყრიან? და თუ მხარის დაჭერა იქნება, თუ ერთობა და სიმტკიცე არ დაირღვევა ჩვენ შორის, მაშინ ეგრე იოლათ და უსაბუთოდ ვეღარავინ მოგვინდომებს აბუჩად აგდებას.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ რა გვეშველება, რითღა ვირჩინოთ თავი?

— ნუ გეშინიან, არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია.

— მაინც რის იმედი გაქვთ?

— ჩვენი სიმართლის, ჩვენი კავშირის.

— რა კავშირია, რა ეწოდება მაგ თქვენ კავშირს?

— „საქარხნო საფაბრიკო რუს მუშათა საზოგადოება“.

— ბევრნი ხართ მაგ თქვენ საზოგადოებაში?

— უუუჰ, მრავალნი.

— ვინ სდგას მაგ საზოგადოების სათავეში?

— ვინა და, ჩვენი ხელმძღვანელი გაპონი.

— ისიც მუშაა?

— არა, მღვდელია.

— ჰოოო, ეგ კი სასიამოვნოა: ქრისტეს მოციქული ცუდს არაფერს შეგამთხვევთ,

— რასა ლაპარაკობ, დედაკაცო, კაცს ჩვენი გულისთვის დღე და ღამე არა სძინავს და...

— ერთი ეს მითხარი, გეთაყვა ფედია, — გააწყვეტინა სიტყვა ნასტიამ,—თქვენს გარდა, ხხვებიც გიჭერენ მხარსა.

— მაშ, რა გგონია, დედაკაცო, მთელი ქარხნები და ფაბრიკები გაფიცულია.

— ჰოოო!

— ხუმრობა კი არ არის ასი ათასი მუშის გამოსვლა.

— ფედია, შინა ხარ?—მოულოდნელად დაუკაკუნეს კარებზე მისმა მახლობელმა ამხანაგებმა.

— შინა ვარ, შინა, შემოდით!—უპასუხა ფედიამ და კარებიც გაიღო

ოთახში რამდენიმე მუშა შევიდა.

— გამარჯვება შენი ფედია!—მიესალმნენ ისინი.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ, ამხანაგებო!

— კაცო, ჯერ არ ამდგარხარ? რაღა დროს ლოგინში წოლაა, ხომ ჰხედავ როგორ მღელვარე ხასიათს იღებს ჩვენი საერთო გაფიცვა. ყოველ წუთს ახალ-ახალი ამბებია მოსალოდნელი. ჯერ კიდევ ვინ იცის რით გათავდება ამ აზღვავებულ მუშა-ხალხის მოძრაობა.

— რა იყო უბედურება ხომ არა დაგტეხიათრა თავზე?

შეშინებით იკითხა ფედიამ და საჩქაროდ წამოვარდა ლოგინიდან ტანზე ჩასაცმელად.

— არა, არაფერი, მაგრამ...

— ეეეჰ, მე კი ჩემი დამემართა და...

— ფედია. ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა განყოფილებებში მოხდა საგანგებო კრებები, სადაც ირჩეოდა ჩვენი მომავალი მოქმედების საკითხები. ამაღამ. საათის რვაზე, ჩვენი საზოგადოების განყოფილებაშიაც დანიშნულია ასეთივე კრება. წევრთა დასწრება სავალდებულოა. არ დაიგვიანო. ჩვენი წინამძღოლი გაპონიც იქ იქნება.

— კარგი, კარგი.

— ნახვამდის, ფედია!

— ნახვამდის, ამხანაგებო, ნახვამდის!

3

შებინდდა...

ქალაქის განაპირა უბნებს არაჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა,..

ლურჯ-ხალათიანი ხალხი ქუჩიდან-ქუჩაზე გადადიოდა, საითღაც მიეშურებოდა...

დაღამდა...

ფეხის ხმა მისწყდა...

ნისლ-ბურუსში გახვეული ფარნები ოდნავ ბჟუტავდნენ...

ერთ-ერთ განაპირა უბნის მიყრუებულ ქუჩაზე აქა-იქ ატუზული ცოცხალი ფიგურა მოსჩანდა...

ესენი იყვნენ მუშები, რომლებიც შორიახლოს სდარაჯობდნენ იმ დიდსა და ყაზარმულ შენობას, სადაც მოწვეული იყო გაფიცულ მუშათა ფართე კრება,..

იქ დამსწრეთ ისეთი ცხარე და ამაღლებული კამათი ჰქონდათ, რომ ხმა გარეთაც გამოისმოდა...

— ძმებო!—აკანკალებული სიყალბით მიჰმართა იქ დამსწრეთ ანაფორაში გახვეულმა „მამა“ გაპონმა და სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძმებო!—განაგრძო უფრო ლმობიერებით ხუცესმა—თქვენ კარგათ იცით ყოველივე ის ღონისძიებანი, რომლებსაც მივმართე მე, რათა მშვიდობიანათ მომეგვარებინა ის კონფლიქტი, რომელიც მოხდა თქვენსა და მექარხნე-მეფაბრიკეთა შორის. ისიც მოგეხსენებათ, რომ დეპუტაცია გავგზავნე აგრეთვე ქალაქის გრაფონაჩალნიკ ფულონთან, მაგრამ ვერც ამ გზით მივაღწიე მიზანს. ეს პატარა საქმე ისე გაიზარდა, ისე გაფართოვდა, რომ ღღეს მთელი პეტერბურგის მუშები გაფიცულნი არიან. რაღა დაგვრჩენია?

— ბრძოლა, ბრძოლა!—წამოიძახა რამდენიმე მუშამ და ბანი მისცეს დანარჩენებმაც.

— მოითმინეთ, შვილებო!—ოსტატური ფორისევლობით დაუყვავა მათ და განაგრძო:

— იცოდეთ, რომ აჩქარებით საქმეს წავაგებთ! ყოველი ჩვენი ნაბიჯი წინდახედული და ასჯერ აწონილ-გაზომილი უნდა იყოს...

— კმარა ამდენი ქადაგება! კმარა მოთმინება!—შეაწყვეტინეს სიტყვა „სულიერ მამას“ ზოგიერთმა „ურჩმა შვილებმა“.

— შეტევა, შეტევა მტერზე!—აგუგუნდა მთელი დარბაზი.

— არა, მოყვასნო! თქვენს ცოდვაში მე ვერ ჩავდგები!

— მაშ, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?

— ჩემი რჩევა: პეტიციით მივმართოთ მეფეს.

— რომ არ მიიღოს? რომ არ მოგვისმინოს?

— მაშინ ჩვენ მეფე აღარ გვეყოლება!

— დიახ, მაშინ ჩვენ მეფე აღარ გვეყოლება!—ერთხმად გაიმეორა ხალხმა.

— მაშ თანახმა ხართ ჩემი რჩევის?

— თანახმანი ვართ, თანახმანი!

— ასწიეთ ხელი, ვინც მომხრენი ხართ!

...და ასწიეს ხელები მაღლა.

— მაშ შემომფიცეთ!

— ვფიცავთ! მამაო! ვფიცავთ, რომ ყველანი დავიხოცებით? არცერთი არ დავიხევთ უკან!

— მაშ, გლოცავთ შვილნო!

4.

გაპონისა და „ფაბრიკა-ქარხნების რუს-მუშათა საზოგადოების“ ყველაზე უფრო „აქტიუ“ წევრების მიერ იმ ღამესვე შედგენილ იქმნა პეტიცია, სადაც მთელი მუშების სახელით გამოთქმული იყო „ერთგულ ქვეშევრდომთა“ გრძნობები „მამა მეფისადმი“, სადაც ჩამოთვლილი იყო როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებანიც.

რას თხოულობდნენ მუშები?

აი უმთავრესად რას:

1. დამჯუძნებელი კრების მოწვევას.
2. 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას.
3. კრებების, კავშირების, სიტყვის და პრესის თავისუფლებას.

რა კილოთი და ეპიტეტებით იყო შემკული ეს საპროვოკაციო პეტიცია?

მოისმინეთ:

„ხელმწიფეო ჩვენო! ჩვენ—მუშები, ჩვენი ბავშვები, ცოლები და უმწეო მოხუცი მშობლები მოვედით შენთან, რათა ვიპოვნოთ სამართლე და მფარველობა. ჩვენ დავლატაკდით, ჩვენ გვჩაგრავენ და აუტანელ ჯაფას გვაკისრებენ, გვამცირებენ და არ უნდათ ადამიანებათ მიგვიჩნიონ; გვეკიდებიან ისე, როგორც მონებს, რომლებმაც უსიტყვოდ, ჩუმად უნდა ზიდონ თავისი ხვედრი. ჩვენ ვითმენდით კიდეც, მაგრამ ხელს გვკრავენ, რომ უფრო ღრმად შევტოპოთ უმეცრებისა, სიღატაკისა და უუფლებობის მორევში. ჩვენ სულს გვიხუთავს დესპოტიზმი და თვითნებობა და ვიღრჩვებით. ძალა აღარ შეგვწევს, ხელმწიფეო! მოთმინების ფიალა აივსო! დადგა მომენტი, როდესაც სიკვდილს ვარჩევთ, ვიდრე ამ აუტანელ ტანჯვის ატანას!“

5.

იანვრის 9, კვირა დღე იყო...

მეფის სასახლისაკენ მიმავალი გზები ჯარებს შეეკრათ...

პეტერბურგის ყოველი შოქალაქე, რაღაც დიდ ამბის მოლოდინში, კითხვითი ნიშნად გადაქცეულიყო...

უზარმაზარ ქალაქის სხვა და სხვა სამრეწველო რაიონებიდან დილიდანვე დაიწყეს დენა ასი-ათასობით აშლილმა მუშებმა...

საეკლესიო დროშებით, ხატებითა და მეფის სურათებით მიემართებოდნენ უთვალავი მასები საზამთრო სასახლის მოედნისაკენ...

არც ერთი წითელი დროშა...

არც ერთი რევოლიუციონური სიმღერა...

ეს გრანდიოზული მსვლელობა მუშურ დემონსტრაციას კი არა ჰგავდა, არამედ ღვთის მორწმუნეთა დიდ ლიტანიას.

მიღელავდა ეს მშვიდობიანი ზღვა-ხალხი და მიგუგუნებდა იცით რას?

„Боже царя храни"-ს.

მათ წინ მიუძღოდა ოლარით შემოსილი მღვდელი გაპონი, რომელსაც ხელთ ეპყრა ჯვარი ქრისტესი და... გაეიცულ მუშათა პეტიცია.

ნარვის კართან პროცესია 300 ნაბიჯის მანძილზე მიუშვეს ჯართან, შემდეგ ქარიშხალივით დაჰქროლა მშვიდობიან მცხოვრებლებზე დაგეშილმა, მეფის უერთგულესმა ცხენოსანმა რაზმმა და მხეცური სისასტიკით, მარცხნივ და მარჯვნივ დაუშინა მათრახები.

მათ გაარღვიეს დემონსტრანტების კედელი და გზა მისცეს ქვეითა ჯარს, რომელმაც სეტყვასავით დააყარა ტყვიები.

ასობით მოკლული დაეცა ძირს.

ქვეითა ჯარის შემდეგ კვლავ დაერია ცხენოსანი რაზმი, რომელიც შეუბრალებლად სჩეხდა გაქცეულებს და წაქცეულ-დაჭრილებს კი, ცხენების ქუსლებით უქსლეტავდა თავებს.

ასეთივე უმოწყალო ხოცვა-ძლეტა სწარმოებდა შლისელბურგის ტრაქტზე, სადაც ჯარისაგან ალყა-შემორტყმული მუშები ტყვიას მკერდს უშვერდნენ და ვაკკაცურად ყვიროდნენ:

— დავიხოცნეთ, გავწყდეთ, ამხანაგებო! უკან გასაქცევი გზა გადაჭრილია!

და...

დაიხოცნენ:

უიარაღოთ...

უბრძოლველველათ...

მაგრამ იმ რწმენით, რომ სხვა მუშები იძიებდნენ მტარვალებზე შურს...

„წესიერების" აღმდგენლებმა ურცხვად მოკრიბეს ქუჩებში ძაღლურად ჩახოცილთა გვამები:

მოხუცებულთა,

მუშათა,

ქალთა და...

ბავშვთა...

და პეტერბურგს კი, 9 იანვრის გასაბსენებლად, დარჩა ქუჩებში სისხლიანი—

წითელი თოვლი.

ბ. ჟუჩიშვილი.

19 9/1 05

სურათი ერთ მოქმედებად.

მოქმედნი:

მუშა.

ქალი.

ვაჭარი.

მღვდელი.

რევოლიუციონერი.

გოროდოვოი.

მუშები, ხალხი, ბავშვები.

სცენა: პეტერბურგი. საზამთრო სასახლესთან ახლოს ქუჩა. ისმის ხმაურობა. გალობა: „უფალო იხსენ ერი შენი", „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს!" თითო-ოროლა ჩამორჩენილი მეიჩქარებიან პროცესიისაკენ, ხატებით, მეფის სურათებით და სამფეროვანი დროშებით. ზარების რეკა მოისმის შორს.

ხმა: (პარტერიდან) ეს იყო ოცი წლის წინ!

მღვდელი: (გამოდის. ხალხს.) მორწმუნენო! მიჰყევით მამა გაპონს. ის მიგიყვანთ პირდაპირ მეფესთან. მეფეს უყვარს თავისი ხალხი. ის მოიღებს მოწყალებას მაზე.

ხალხი: (ზოგიერთნი) დაგვეხმარეთ მამაო. შეგვაწუხა შიმშილმა, სიცივემ, სიღარიბემ; დაგვეხმარეთ...

მღვდელი: ღმერთი იყოს თქვენი შემწე. აბა დროშები! ხატები! მეფის სურათები! იარეთ მწყობრად, გალობით. ნუ აჰყვევით, არამზადა რევოლიუციონერებს, ძალით ვერაფერს გახდებით. ისინი ყველა ურიებია; მათში დამუდებულია ეშმაკი (პირჯვარი). ხსნა სარწმუნოებაშია...

ვაჭარი: (გამოდის). და, „ეშმარიტ რუსთა კავშირში."

მუშა: (ხალხიდან, მუშტით) ვიცნობთ რა შვილებიცა ხართ!

ქალი: გაჩუმდი, შე კრამოლნიკო! (ჩხუბი).

გორდოვოი: (გავლით) ნუ შეგროვდებით, დაიშალენით.

ვაჭარი: (უბის წიგნაკს უჩვენებს, ჩუმად) ფრთხილად...

გორდოვოი: (ხელს აუღებს) მაპატიეთ. (ხალხს) აქ ნუ შეგროვდებით, დაიშალენით. (გაივლის).

მღვდელი: (ჯვრით მაღლა) უფალი იყოს თქვენი შემწე, შვილებო! მიჰყევით პროცესიას. (ბიდის ხალხი. ისმის გალობა, ურა და სხვა).

ვაჭარი: მამაო ნიკიფორე, ვგონებ საქმე კარგათაა, ხალხი ჩვენ გვიჯერებს.

მღვდელი: გაკურთხოს უფალმა, შვილო.

ვაჭარი: ჩვენს კავშირში საქმე რიგზეა. ჩვენი რაზმელები აირევიან ხალხში და თუ ვერ მოხდა საქმე ისე, როგორც საჭიროა, მერე თითონ იციან.

მღვდელი: როგორ?!

ვაჭარი: ვნახოთ ჯერ, იქნება მეფემ უწყალობოს რამე შეღავათი ამ მუშებსა და ამათი დაცვეთ მათში გაელენა რევოლიუციონერებისა, მეტადრე იმ შეურიგებელი და ჯიუტ ბოლშევიკ-სოციალდემოკრატებისა. მუშები მათ უჯერიან მარტო, ისინი მოუწოდებენ მუშებს, რათა არ გაჰყვნენ გაპონს, რადგან იციან, რომ გაპონი ჩვენია. ვიღაც გადარეული მიუძღვის მათ; ისინი სცდილობენ პროცესიის ჩაშლას. თუ ვინცობაა არ დაიშალეს და აღმართეს ხადმე წითელი დროშა, მაშინ ვინმე გაისვრის რევოლვერს და, (კმაყოფილებით) შემდეგ, ხომ იცით რა მოხდება? ხე! ხე! ხე!.. ზუბატოვი ხომ იცით რა მოხერხებული კაცია, იმისი გეგმა...

მღვდელი: ხა! ხა! ხა! ეშმაკმა წაგიღოთ ფადეი ანდრეიჩ. ეშმაკმა (ჯიბიდან არყის ბოთლს ამოიღებს, ხსნის და გაუწვდის) აბა, შეხურდებით, ცივა...

ვაჭარი: აბა, ქეიფი მერე ნახე და! (გადაჰკრავს და ბოთლს უკან გადისვრის) მერე და, მამაო ნიკიფორე (საიდუმლოდ) ამ საქმის მოწყობისთვის იცით რამდენი ათასი არიან დაპირებულნი?! ჰო, ყველაფერი რიგზეა მეთქი; ჯარი საზამთრო სასახლის წინაა ჩამწკრივებული და რა განზრახ სროლას გაიგებენ. მერე..

მღვდელი: კარგია, მაგრამ, ამბობენ ჯარშიაც იკიდებს ფეხს ეს შეჩვენებული მოძრაობაო.

ვაჭარი: შენ, მამაო ნიკიფორე, მაგისი დარდი ნუ გაქვს. იქაცა გვყვანან ჩვენები... თვალ-ყურს ადევნებენ... დახვრეტა და მათი ჯანი!.. მაგრამ სსუ! ვიღაცანი მოდიან; წავიდეთ, შევეერიოთ ხალხში (გადიან).

ქალი: (შემოდის და სახელოთი ეწევა მუშას) მოდი მეთქი, კაცო. მეფე არ დაგვტოვებს უმოწყალოდ. მეფემ რომ იცოდეს ჩვენი გაჭირვება, განა ასე ვიქნებით! ეს სულ მინისტრების და სასახლის ირგვლივ მყოფთა საქმეა, რომ ჩვენი გაჭირვება ვერ აღწევს. წამო, მამა გაპონი მიგვიძღვის წინ.

მუშა: ო, რა სულელი ხარ, დედაკაცო! აბა როდის იყო რომ ნებით იძლეოდენ რამეს! რა შეუძლია იმ წვერებ-ცანცარა გაპონს?

ქალი: არა და თქვენ სოციალ-დემოკრატებს შეუძლიანთ! წამო, დაიჭი ეს ხატი. ვაიმე, სადაა ჩვენი ბიჭიკო? კოლა! მოდი აქა შვილო, ხალხმა არ გაგაყლიტოს. (ხალხი განუწყვეტლად მიდი-მოდის და მათ შორის გოროდოვოი, რომელიც არ აძლევს შეჯგუფების ნებას).

გოროდოვოი; ნუ შეგროვდებით, დაიშალენით! (გაივლის).

რევოლიუციონერი: (გამოვა ხალხიდან). ამხანაგებო, შეჩერდით! ნუ ეგებით მატყუარა მღვდლის ანკესზე. თხოვნით ვერაფერს მიიღებთ. სად მიდიხართ ხატებით, მეფის სურატებით, და სამფეროვან დროშებით? ხსნა მხოლოდ ბრძოლაშია! ბრძოლაში ჰპოებთ თქვენს უფლებას! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დავლეწოთ იარაღის მაღაზიები და საწყობები! შეიარაღდით! აი ხსნა; ამის აღმოდებულ ფრიალში და ჩვენს მშიდრო კავშირშია ძალა. შეეურთდეთ ჩვენებს!.. (პალტოს ქვეშიდან ამოიღებს წითელ დროშას და ასწევს მაღლა. ზოგიერთები რევოლვერებს მოამზადებენ). გაუმარჯოს რევოლიუციას! გაუმარჯოს სოციალიზმს! მოსწყვეთ!!! (გაისმის „გაუმარჯოს„ და „მარსელიოზა". მიდიან).

გოროდოვოი: ეგ რა არის თქვე ბუნტოვჩიკებო! დაიშალენით! (გამოეკიდება, მაგრამ ერთი მუშათაგანი ხელსა ჰკრავს და გადააყრევებს). ოი თქვე მეფის მტრებო!!! (გავა მეორე მხარეს).

ქალი: ჰა, რამ ჩაგაფიქრა? თუ თხოვნით არაფერი გამოვიდა,—ბრძოლაც შემიძლიან.

მღვდელი: (გამოდის). ნუღარ იგვიანებთ, შვილებო, მიდით ჩვენს მფარველ მეფესთან. იგი შეიწყნარებს თქვენს თხოვნას. მამა გაპონი მიგიყვანს თქვენ! გახსოვდეთ და არ დაგა-

წიეყდეთ ღმერთი, მეფე და მამული! მოითშინეთ აქ ყოველივე გაჭირვება და სამაგიეროდ იქ, სამოთხეში დაიმკვიდრებთ სასუფეველსა და ჰპოებთ შვებას!

ვაჭარი: (გამოჩნდება. ჩუმად) წავიდეთ მამაო ჩვენცა და უყუროთ ამოფარებით, თუ რა მოხდება.

მღვდელი: მერე და ვაი თუ საიდანმე მოგვხვდეს მოხეტიალე ტყვია? ჩემ ფოფოდიას რაღა ეშველება მაშინ?

ვაჭარი: ნუ გეშინიან, ისეთ ადგილას დავიმალოთ, რომ... (ისმის „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს.“ სცენა ცოტა ხანს ცარიელია, მარტო გოროდოვოი გამოჩნდება ხოლმე, დროგამოშვებით. გაისმის ურა, გალობა, შემდეგ ყრუ გუგუნი. გავარდება რევოლვერი. მას მოჰყვება „ზალპი“ რამდენიმეჯერ. ყვირილი, ძახილი, კვნესა. გოროდოვოი დარბის შეშინებული და უთავბოლოდ ისვრის რევოლვერს. ხალხი გამორბის, ეცემიან, კვნესიან, ზოგიერთი დაჭრილები, ზოგი კვდება და სხვა. ისმის ხმები: „მეფემ არ მიგვიღო“ „გაპონმა მოგვატყუა,“ „თავს უშველეთ“, „ჯარი გვესვრის“ და სხვა. გაირბენენ ვაჭარი და მღვდელიც. შემოდიან ქალი და მუშა, დაჭრილი).

ქალი: ვაიმ შვილო, კოლა! რად მომიკლეს რაად?!

მუშა: ხომ გითხარი, რომ არაფერი გამოვა მეთქი. არ დაინდეს არავინ, არც კაცი, არც ქალი, მოხუცი და ბავშვები... საბრალო ბავშვები ხეებზე ასულიყვნენ, რომ კარგად დაენახათ პროცესია და განგმირული ჩიტებისავით სცვიოდენ ძირს!..

ქალი: ღმერთო! ეს რა რისხვა მოგვევლინა. ვაიმე, შვილო, კოლა! დაჯექი. ამითი მაინც შეგიხვევ ჭრილობას. (თავშალს მოიხსნის და უხვევს). ღმერთო, რა ნახეს ჩემმა თვალებმა! ვინ იცის რამდენი ათასი დაეცა განგმირული!..

მუშა: ხატებს თუ რამე ძალა აქვთ, აბა რატომ არ გამოიჩინეს ეხლა?

ქალი: სუ! ღმერთს ნუ სცოდავ. ვაიმე შვილო! მკვდარი მაინც ვიპოვნო!..

გოროდოვოი: (შემოდის) ადე აქედან!!! (ძალით აგდებს). მიიღე კარგი საუზმე? ხა! ხა! ხა!..

რევოლიუციონერი: (ორ მუშას შემოჰყავს მხრებით, დაჭრილი). ო, საყვარელო ამხანაგებო! ისტორია გაასამართლებს გაპონებსა და თვით ღმერთებსაც. გახსოვდეთ, ამხანაგებო! ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ბრძოლა! აი მე ვკვდები და თქვენ განაგრძეთ ეს ძნელი, მაგრამ საყვარელი გზა, გზა თავისუფლებისათვის აჯანყებისა! არ გაივლის დიდი ხანი და თქვენც ნახავთ აი ამავე მოედანზე. სადაც დაიქცა, უმანკო სისხლი მშრომელი ხალხისა—აფრიალდება წითელი დროშა პროლეტარული რევოლიუციის!.. აი, თითქოს ვხედავ მის ნათელ და შარავანდედით მოსილ სახეს.. გაუმარჯოს ინტერნაციონალს! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!.. ოო... აჰ... (კვდება. ყველანი ქუდებს მოხდიან და წითელ დროშას ზედ გადაეფარებენ, დაჩოქილნი და ხელის გაწვდით. უხმოდ, ფიცსა სდებენ, ბნელდება).

ხმა: (პარტერიდან) და აღსრულდა მათი ატვრა!

ნ ძლევამოსილი წითელი დროშა ამაყად ფრიალებს!

(მუსიკა, ინტერნაციონალი).

ხ. ერ—ლი.

სოც.-დემოკრატ ჯალათების მსხვერპლნი.

 კარლ ლიბკნეხტი.

როზა ლიუქსემბურგ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ [გერმანიის] პრეზიდენტის ებერტის „შეურაცყოფის“ საქმის გარჩევის შემდეგ აშკარათ და გადაკრით შეგვიძლია გერმანიის პროლეტარიატის საუკეთესო ბელადების კარლ ლიბკნეხტის და რ. ლიუქსემბურგის ვერაგულად მოკვლა მოღალატე სოციალ-დემოკრატიის მრავალ სხვა დანაშაულთა აქტივში ჩავსწეროთ. თუ ამ პროცესამდი სოციალ-დემოკრატიას ამ მკვლელობისათვის მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ამ პროცესმა ნათელი გახადა, რომ სოციალ-დემოკრატები მათი ფიზიკური მკვლელები არიან. სოციალ-დემოკრატების თვალსაჩინო ბელადებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გერმანიის „ოხრანკასთან“, აწვდიდენ მას ცნობებს „საშიშ“ მემარცხენე ელემენტების შესახებ. გერმანიის პროლეტარიატის ყველაზე საბედისწერო მომენტში, როცა უნდა გადაწყვეტილიყო გერმანიის რევოლიუციის ყოფნა-არყოფნის საკითხი მათ მორიგი სისაძაგლე ჩაიდინეს: თავი მოჰკვეთეს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს:

— მოჰკლეს კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგ.

კარლ ლიბკნეხტი.

კარლ ლიბკნეხტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილი მოღვაწის ვილჰელმ ლიბკნეხტის შვილი დაიბადა 1871 წლის 13 აგვისტოს ლეიპციგში. უკვე უნივერსიტეტში შეუდგა სოციალისტურ აგიტაციას. 90-იანი წლებში იწყებს ადვოკატობას. ის გახდა მუშათა კლასის ადვოკატი,—გამოდიოდა იმ პროცესებში, სადაც შრომა ეჯახებოდა კაპიტალს. 1902 წ. ის არჩეულ იქმნა ქალაქის ხმოსნათ, 1908 წ. პრუსიის დეპუტატთა პალატაში. მის სპეციალობას შეადგენდა ანტიმილიტარისტური პროპაგანდა. მან გამოსცა წიგნი „მილიტარიზმი და ანტიმილიტარიზმი“ ამისათვის მას წლინახევრის ციხე მიუსაჯეს. 1910 წ. მან იმოგზაურა ამერიკაში, სადაც თავისი თვალით იხილა კაპიტალიზმის განვითარება, მისი ყველაზე სრული ფორმებით. 1912 წ, მისი მოქმედების ასპარეზი ფართოვდება—მას ირჩევენ რეიხსტაგში. აქ მან საყოველთაო ყურადღება მიიპყრო იმ ქრთამების მიცემის სისტემის გამოაშკარავებით, რომელსაც მიმართავდა იარაღების დამმზადებელი ცნობილი კრუპპის ფირმა დაკვეთების მისაღებათ.

როცა დაიწყო ომი, ლიბკნეხტი ერთად-ერთი წევრი იყო რეიხსტაგის ს.-დ. ფრაქციის, რომელმაც გაბედა გალაშქრება ომის წინააღმდეგ და ხმა მისცა მთავრობისათვის სამხედრო კრედიტების წინაალმდეგ.

ომმა კარლ ლიბკნეხტი გერმანიის სინიდისათ გადააქცია. ის დაუღალავად სწერდა მხურვალე მოწოდება-პროტესტებს ხალხთა ჟლეტის წინააღმდეგ და იმ დროს, როცა ოფიციალური სოციალ-დემოკრატია სამოქალაქოზავს ქადაგებდა, ლიბკნეხტი მოუწოდებდა პროლეტარიატს კლასობრივი ბრძოლისა და რევოლიუციისაკენ. როზა ლიუქსემბურგთან ერთად ის იყო ავტორი წერილების, რომლებიც ხელმოწერილი იყვენ „სპარტაკის“ სახელით და რომლებშიც გამოაშკარავებული იყო ომის იმპერიალისტური ხასიათი. ეს წერილები იბეჭდებოდა საიდუმლო სტამბებში ან ამრავლებდენ გეკტოგრაფებზე და ავრცელებდენ მთელს გერმანიაში.

როცა ვერაფერი გააწყვეს ლიბკნეხტის წინააღმდეგ, ის ჯარში გაიწვიეს. როცა მან უარი თქვა ბრძოლაზე, ის ძალით გაგზავნეს მოწინავე პოზიციებზე სანგრების სათხრელათ.

1916 წლის გაზაფხულზე ის დააპატიმრეს ანტი-სამხედრო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის და $2^1/_2$ წლის ციხე გადაუწყვიტეს.

მხოლოდ 1918 წ. ოქტომბერში მიიღო მან თავისუფლება დ ტრიუმფით დაბრუნდა ბერლინში.

დაიწყო რევოლიუცია. გერმანიის პროლეტარიატმა შექმნა მუშათა საბჭოები. სოციალ-დემოკრატია სოციალურ რესპუბლიკაზე ლაპარაკობდა. შეადგინეს კომისია სოციალიზაციის მოსახდენათ. მაგრამ ამავე დროს გერმანიის რესპუბლიკანური მთავრობა წმინდათ იცავდა კერძო საკუთრების პრინციპებს: გაქცეულ მეფეებისა და პრინცებისათვისაც კი არ ჩამოურთმევია ქონება.

ლიბკნეხტი სათავეში ედგა „სპარტაკის“ ჯგუფს, რომელმაც 1918 წ. გადაიქცა მცირერიცხოვან და სუსტად შეკავშირებულ კომუნისტურ პარტიად. პარტიის გავლენა ჯერ კიდევ სუსტი იყო. საბჭოებში განუყოფელად ტონობდენ სოციალ-შემთანხმებლები. ლიბ-

კნეხტი აფრთხილებდა თავის ამხანაგებს ნაადრევ და წინდაუხედავ გამოსვლებისაგან.

მასების რევოლიუციონერი მოძრაობა ფართე ხასიათს იღებდა. მუშები იკავებდენ ფაბრიკა-ქარხნებს, სტამბებს. ბურჟუაზიამ მთელი თავისი ძალულვილი და იერიშები „სპარტაკზე“ გადაიტანა.

1916 წ. იანვარში მთავრობამ გადააყენა ბერლინის პოლიციის უფროსი ეიხგორნი, რომელიც საჭიროდ არ თვლიდა წამდაუწუმ მუშების ხვრეტას.

მუშებმა ეს აქტი შეაფასეს, როგორც მძაფრი იერიშების დასაწყისი მათ წინააღმდეგ და არც მოსტყუვდენ.

მუშები შეტევაზე გადავიდენ. დაიწყო აჯანყება. „სპარტაკმა“ მონაწილეობა მიიღო აჯანყებაში. ლიბკნეხტი ერთი მეთაურთაგანი იყო.

აჯანყება დამარცხდა. ლიბკნეხტი დაიპატიმრეს და როცა ავტომობილით ციხეში მიჰყავდათ, თოფის კონდახებით სცემეს, შემდეგ გადმოიყვანეს ავტომობილიდან და მოჰკლეს. მისი გვამი-ვიღაცამ მიიტანა საავადმყოფოში, როგორც გვამი „უცნობის“. ჯალათებმა კი მოახსენეს მთავრობას:

— „მოკლულ იქმნა გაქცევის ცდის დროს“.

როზა ლიუქსემბურგ.

როზა ლიუქსემბურგ დაიბადა პოლონეთში 1870 წ. 25 დეკემბერს. გიმნაზიაში გაეცნო სოციალიზმს და გახდა მისი მხურვალე პროპაგანდისტი. რომ გადარჩენოდა დაპატიმრებას, ის გაიქცა შვეიცარიაში და აქ ეცნობოდა პოლიტიკურ ეკონომიას და პოლონეთის სოციალური მოძრაობის საკითხებს. ამ დროს პოლონეთის წვრილმა ბურჟუაზიამ უარი სთქვა თვითმყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაზე რუსეთის საერთო მასშტაბით და წამოაყენა დამოუკიდებელი პოლონეთის პროექტი. წინააღმდეგ ამ ნაციონალისტური მოძრაობისა, რ. ლიუქსემბურგ საფუძველს უყრიდა „რუსეთის პოლონეთის სოციალ-დემორატიულ პარტიას“. პარტიის პროგრამის მთავარი პრინციპები შემოშავებულია რ. ლიუქსემბურგის მიერ. მას მოუხდა ბრძოლის წარმოება პოლონურ ნაციონალიზმთან და იმ იდეების შემუშავება, რომელმაც შემდეგ 1914—17 წ.წ. ასეთი დიდი როლი ითამაშეს სხვადასხვა ჯურის-სოციალ-პატრიიტიზმთან და სოციალ-შემთანხმებლობასთან ბრძოლის დროს.

1897 წელს მან დასწერა წიგნი „პოლონეთის სამრეწველო განვითარება,“ რომელშიც მარქსისტულად გააშუქა პოლონეთის ისტორიული განვითარება.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის გადასახლდა გერმანიაში და მონაწილეობას იღებს მსოფლიო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. მისი წერილები იბეჭდება საუკეთესო სოციალ დემოკრატიულ ჟურნალ-გაზეთებში.

განსაკუთრებით შესანიშნავია მისი ბრძოლა რევიზიონიზმის წინაღმდეგ, რომლის ბურჟუაზიული ბუნება მან ყველაზე ადრე გაამოაჩარავა.

1905 წ. რევოლიუციამ რუსეთში მიიპყრო მთელი მისი ყურადღება. ის მიემგზავრება ვარშავაში და გერმანულ პრესაში აშუქებს რუსეთის რევოლიუციის საკითხებს. მცირე ხნით დაპატიმრების შემდეგ ის კვლავ გერმანიაში მიემგზავრება.

ამ პერიოდში რ. ლიუქსემბურგი აყენებს საკითხს სოციალური რევოლიუციის შესახებ და პირველ რიგში აყენებს მასიურ გამოსვლების მნიშვნელობას. ის თანდათანობით შორდება სოციალ-დემოკრატიის ძველ ლიდერებს (კაუცკის, ბებელს).

1914 წ. თებერვალში ფრანკფურტის სასამართლომ ერთი წლის ციხე მიუსაჯა წერილისთვის, რომელშიც პოლიციამ დაინახა მოწოდება ჯარისკაცებისადმი არ დაემორჩილონ თავის უფროსებს. გასამართლების დროს მან წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც სასტიკად გაილაშქრა მილიტარიზმის წინააღმდეგ.

ომის დაწყებისთანავე რ. ლიუქსემბურგ მისი შეურიგებელი მოწინააღმდეგე გახდა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საქციელმა 1914 წ. 4 ავგისტოს ისტორიულ სხდომაზე, ისე აღაშფოთა და ააღელვა რ. ლიუქსემბურგ, რომ მისი მეგობრები შეშინდენ, რადგან იცოდენ, რომ ის გულით ავადმყოფი იყო.

რ. ლიუქსემბურგ შეუდგა ბრძოლას. ის მოგზაურობს მთელს გერმანიაში, აგროვებს დაქსაქსულ ძალებს და ჩქარა „სპარტაკის“ ჯგუფი იწყებს სისტემატიურ ბრძოლას გერმანიის მილიტარიზმისა და სოციალ-პატრიოტიზმის წინააღმდეგ. მისი თანამებრძოლია ლიბკნეხტი.

რ. ლიუქსემბურგს აპატიმრებენ. მაგრამ ის მაინც განაგრძობს ბრძოლას.

მისი გავლენა იმდენათ დიდია, რომ მისი მცველებიც კი ვერ ასცდენ მას და მიაქვთ და მოაქვთ რ. ლიუქსემბურგის წერილები.

ნოემბრის რევოლიუციამ (1918 წ.) გაუღო მას ციხის კარები და რ. ლიუქმემბურგი სათავეში ჩაუდგა „წითელი დროშის“ გამოცემის საქმეს.

ამ გაზეთში ის იცავს საბჭოთა ძალაუფლებას და პროლეტარიატის დიქტატურას.

მტერს არ ძინავს.

იანვარში (1919 წ.) კომუნისტების გამოსვლების დამარცხების შემდეგ, თუმცა რ. ლიუქსემბურგს საფრთხე მოელის,მაგრამ ის არ ტოვებს ბერლინს

მას აპატიმრებენ და კ. ლიბკნეხტთან ერთად მხეცურად კლავენ.

მუშტარი.

მოთხრობა ანამიტების ცხოვრებიდან.

ინდო-ჩინეთი, ანუ ანამიტების ქვეყანა, საფრანგეთის ახალშენი, მდებარეობს ჩინეთის რესპუბლიკის იმ პროვინციის საზღვარზე, რომელზედაც სუნ-იატ-სენის მთავრობის გავლენა ვრცელდება. თავის დროზე ეს მხარე მისმა მფლობელმა ხალონგმა რამოდენიმე ათეულ თოფში გადაუცვალა საფრანგეთის მთავრობას.

ამ „კეთილ“ საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინეს საფრანგეთის მთავრობას „სულიერმა მამებმა“, მისიონერებმა, რომლებიც ვითომდა სულის „გასანათლებლად“ მოგზაურობენ „ველურთა“ ქვეყნებში, ნამდვილად კი თავისი ქვეყნების ბურჟუაზიის აგენტები არიან.

ანამიტები ამ „სულიერი მამების“ წყალობით მოკლებული არიან ელემენტარულ უფლებებს და საშინელ ექსპლოატაციას განიცდიან.

ფრანგი ადმინისტრატორები საშინლად სდევნიან და ავიწროებენ ანამიტებს. დასჯილ ჩვეულებრივ ფორმას აქ წარმოადგენს ჯოხით ცემა და თავის მოკვეთა

ქვემოთმოყვანილი მოთხრობა ეკუთვნის ამხ. ნიუენ აი-კვაკს, ინდო-ჩინეთის დელეგატს კომინტერნის მეხუთე კონგრესზე.

საშინელი სიცხე სწვავდა დედამიწას. სცხელოდა ისე ძლიერათ, როგორც ხშირად იცის ინდო-ჩინეთში. დილიდანვე ვერც ერთი მუშტარი ვერ ვიშოვე. მშიოდა. თავი მიბრუოდა სიცხისა და სიმშილისაგან. ძლივს მივათრევდი ტახტრევანს. ნელა უახლოვდებოდი გუბერნატორის სასახლეს. ვწყევლიდი ცარიელ კუჭს და ჭამის ამ მუდმივ სურვილს. ამ სურვილმა მიმამბა მე ამ წყეულს ტახტრევანს, გადამაქცია ოთხფეხთა სწორად. საშინლად ჭრიალებდენ ბორბლები.

უცებ ელვამ დამიარა თვალებში, მე რაც ძალი და ღონე მქონდა მოვსწიე ტახტრევანი და გავექანე წინ, უნდა გამესწრო ჩემი კონკურენტებისათვის. მშიერ ძაღლებივით მივქროდით ჩვენ, რადგან შევნიშნეთ საკბილე: გუბერნატორის სასახლის სადარბაზო კარებთან შევნიშნეთ გუბერნატორისგან მომავალი თეთრკანიანი შავ სამოსელში. მე გაუსწარი ყველას. წამოვიჩოქე „ღვთის მსახურის“ წინ და მივიპატიჟე დაეკავებია ადგილი ჩემს ტახტრევანში. პასუხის ნაცვლად პანჩური ამომკრა რბილ ნაწილში. თეთრკანიანებს ჩემთან ბევრი ლაპარაკი არ ესაჭიროებოდათ. პირველი მათი სიტყვისთანავე ვიცოდი, თუ რისი თქმა უნდოდათ მათ. ხმის ამოუღებლივ გავეცალე გუბერნატორის სასახლეს. უკან მესმოდა, თუ როგორ სწყევლიდა „წმინდა მამა“ ყველა ამ „ყვითელ ეშმაკებს“, რომლებიც ხელს უშლიან მას მიეცეს თავის ფიქრებს. მე შეუკურთხე მასაც და მის ღმერთებსაც და ჩემი ტახტრევანით ზღვის ნაპირისაკენ მოვკურცხლე.

უფრო ასიცხდა. იმ მღვდელმა ცეცხლი დამინთო ძარღვებში. ერთი წუთით მე ადამიანათ ვიგრძენი და მზად ვიყავი მოვქცეულიყავი ისე, როგორც ეს გრძნობა მიკარნახებდა.

მე ამისათვის თავის მოკვეთა მომელოდა, მაგრამ იმ წუთში თავზე არ ვფიქრობდი.

შემოვბრუნდი უკან და უცებ... ზღვის ნაპირას შევნიშნე მეზღვაური, რომელიც ბანცალით მოდიოდა.

მე გავექანე მისკენ, ყველაფერი დამავიწყდა. სახუმრო საქმე ხომ არ იყო

— მუშტარი!

მე ცალმუხლზე წამოვიჩოქე, რომ ჩემი მუშტარისათვის გამეადვილებია ტახტრევანში ჩაჯდომა, შემდეგ რაც ძალი და ღონე მქონდა მოვკურცხლე ქალაქის იმ ნაწილისაკენ, სადაც ის იპოვიდა „ქალთა საზოგადოებას“.

მეცნიერება და ტექნიკა

მეტროპოლიტენები მსოფლიო ცენტრებში.

მეტროპოლიტენი ეწოდება ქალაქის რკინის გზას.

მეტროპოლიტენის მოწყობას საჭიროდ ხდის ქალაქის ზრდა, მისი ფარგლების გაფართოება. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ როცა ქალაქის ტერიტორიის რადიუსი განსაზღვრულ დონემდე გაიზრდება, მეტროპოლიტენის მოწყობა-აუცილებელი ხდება. ხალხთა იმ ყოველდღიურ გადასახლებაში, რომელიც ყოველ დღე ხდება დიდ ქალაქში, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სახლიდან სამსახურში წასვლა და შემდეგ უკან დაბრუნება. დაახლოებით, დღეში ამაზე საშუალოდ იხარჯება ერთი საათი, რაც შესამჩნევად ადიდებს სამუშაო დღეს. დიდ ქალაქში ფეხით სამსახურში სიარული უკვე შეუძლებელი ხდება: აქ უკვე მუშა-მოსამსახურეებს სამსახურს უწევს: კონკა, ტრამვაი, ავტობუსები. მაგრამ მოგზაურობის ეს საშუალებებიც არ არის საკმაო ისეთ ქალაქში როგორიც არის ბერლინი, პარიზი, ნიუ-იორკი, ჩიკაგო, ლონდონი (ამ ქალაქების რადიუსი უდრის 10—25 ვერსამდი)და საჭირო ხდება მოგზაურობის უფრო სწრაფი საშვალებების შემოღება—მეტროპოლიტენის მოწყობა.

პირველათ მეტროპოლიტენების მოწყობა დაიწყეს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში (წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში).

ამჟამად მეტროპოლიტენების ფართე ქსელი მოწყობილია ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში, ბოსტონში და აგრეთვე ბუენოს-აირესში (არგენტინა).

ამერიკის მაგალითს მიჰბაძა ევროპამ: ოთხმოციანი წლების მიწურულში მოეწყო ლონდონის მეტროპოლიტენის პირველი ხაზი (ლონდონი ყველაზე უფრო დიდი ქალაქია მსოფლიოში, როგორც თავისი ტერიტორიით, ისე მცხოვრებლების რიცხვით). შემდეგ მოეწყო მეტროპოლიტენები სხვა მსოფლიო ცენტრებში: პირიზში, ბერლინში. ევროპაში და ამერიკაში განმტკიცდა აზრი, რომ ქალაქში, სადაც მოსახლეობის რიცხვი ერთ მილიონამდი აღწევს, უნდა მოეწყოს მეტროპოლიტენი. ამიტომ მეტროპოლიტენები მოეწყო ისეთ ქალაქებში, როგორიც არის ლივერპული და გლაზგო (ინგლისში) და ჰამბურგი (გერმანიაში).

მეტროპოლიტენები ეწყობა ჩვეულებრივ ან მიწის ქვეშ ან ქუჩებს ზევით. ასე ხდება იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ქუჩებში დაგებულ ლიანდაგზე მატარებელი ვერ შესძლებდა ისეთი სისწრაფის განვითარებას, როგორც ეს საჭიროა და გარდა იმისა, მატარებლების მოძრაობა ქალაქის ქუჩებში საფრთხეს წარმოადგენდა მოსახლეობისათვის.



რკინისგზა, გაყვანილი მიწის ზევით.

მიწის ზევით მეტროპოლიტენების მოწყობა მოსახერხებელია იქ, სადაც არის საკმაო სივრცე, თავისუფალი არე, მაგ. ქალაქის განაპირა უბნებში. ქალაქის ცენტრალურ რაიონებში კი აუცილებელი ხდება მიწის ქვეშა რკინის გზის მოწყობა. ლონდონში, მაგალითად, ზოგიერთი ხაზები მოწყობილია გვირაბებში ან ფოლადის მილებში 20—30, ზოგჯერ 55 მეტრის სიღრმეზე. ასეთი გვირაბის გათხრა, რასაკვირველია, ძლიერ ძვირი ჯდება.

მიწის ქვეშა რკინისგზების მეორე უხერხულობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ძნელია მიწის ქვეშიდან დედამიწის ზედაპირთან კავშირის მოწყობა. ლონდონში ასეთი რკინისგზეუის სადგურებს მიწის ზედაპირთან კავშირი აქვთ მრავალრიცხოვანი ხალხის ამოსაყვანი მანქანების, ლიფტების საშუალებით.

თითქმის ყველა მეტროპოლიტენები ორ ხაზიანია. ნიუ იორკში მეტროპოლიტენს ოთხი ხაზი აქვს. პირველ და მეოთხე ხაზზე დაიარებიან ადგილობრივი მიმოსვლის მატარებლები, რომლებიც ყველა სადგურებზე ჩერდებიან. ორ შუა ხაზზე კი—ჩქარი მატარებლები, რომლებიც ჩერდებიან ყოველივე 4—6 სადგურზე.

იმ ადგილებში, სადაც მეტროპოლიტენის ხაზი სჭრის წყლით გასეველელ გზებს, რკინის გზის ხაზები გაჭყავთ ან წყალქვეშ, მიწაში, ან თვით წყალში, ფოლადის მილებში. ასეთ მილებშია მოწყობილი რკინისგზის ხაზი ნიუ-იორკში (კუნძულ მანგატანსა და ხმელეთს შორის). მდინარის ქვეშ არის გაყვანილი რკინისგზის ხაზი ლონდონში, ბერლინში და პარიზში.

ნიუ-იორკში მრავალ სართულიანი ქუჩების მოწყობის პროექტი.

მეტროპოლიტენების უმრავლესობაში მამოძრავებელი ძალა არის ელექტრონი.

ნიუ-იორკის მეტროპოლიტენმა ყველას წინ გაუსწრო. იქ ყოველ წუთ ნახევარში ყველა მიმართულებით მიდის მატარებელი ისე, რომ საათში 128.000 კაცი გადაჰყავთ.

მოგზაურობა მიწისქვეშა რკინისგზით არ არის საინტერესო. სამაგიეროთ პირდაპირ აღტაცებას იწვევ მოგზაურობა მიწის ზნვით მოწყობილ რკინისგზაზე, მატარებლები მიჰქრიან თავბრუ დამხვევი სისწრაფით და მგზავრი გაჰყურებს მოედნებს, ქუჩებს, ხან შეიჭრება მიწის ქვეშ გვირაბში, ხან ამოძვრება ისევ და გადაჰყურებს ოთხ-ხუთ სართულიან სახლებს. ზოგ ადგილებში ერთად მიჰქრის რამდენიმე მატარებელი, ზოგი ქვევით, ზოგი უფრო მაღლა.

ბერლინში, მაგალითად, პოტსდამის სადგურის ახლო, სადაც თავს იყრის რკინისგზის 42 ხაზი, მიწის ქვეშა მატარებელი ამოდის მიწის ზედაპირზე, ასე მიჰქრის ერთ მანძილზე, შემდეგ ადის უფრო მაღლა და გადაურბენს ყველა 42 ხაზს, მის ზევით კი მირბიან სხვა მატარებლები.

მეტროპოლიტენი ეწყობა ამ ჟამად მოსკოვშიც.

ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, მაგრამ მე თავდავიწყებით მივქროდი მტვერიან ქუჩებში. წინასწარ ვგრძნობდი იმ ბედნიერებას, რომელიცა ტიხასთან. ჩემს თვალწინ ოშხივარი ასდიოდა ბრინჯის წვენს და სურნელოვან ჩაის.

ამ სიამოვნების მიღების სურვილმა ისე გამიტაცა, რომ ორ საათში გასავლელი გზა ერთ საათში გავიარე.

მივედით. სულს ძლივს ვითქვამდი. მუშტარი წამოდგა, ზანტათ გადმოაბიჯა ფეხი. დაამთქნარა, მომიბრუნდა ზურგით და ნელის ნაბიჯით გასწია პატარა სახლისაკენ. თვალები დამიბნელდა, გულს ბაგი-ბუგი გაჰქონდა, ფეხებმა კანკალი დამიწყო.

მე ერთბაშათ საშინელი დაღლილობა ვიგრძენი, შევყვარე, დაუძახე,—მუშტარი ყურსაც არ იბერტყავდა. დავეწიე, მხარზე ხელი დავადეკი.—

„მონე!“ „მონე“*). მეზღვაური ზანტად მობრუნდა, ჩაიდვა ჯიბეში ხელი, ამოიღო ჯიბიდან პატარა ლითონის საგანი...

პაფფ!... პაფ!... მხარში საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ტკივილისაგან საშინლად ვიკლაკნებოდი.

ნიუენ-აი-ქვაკ.

*) ფული.

ხელოვნების ქრონიკა

საქართველო.

სუბსიდია აფხაზეთის სახელმწიფო დრამას. ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ თათბირის დადგენილებით აფხაზეთის სახელმწიფო დრამას მიმდინარე წელში მიეცემა სუბსიდია 7 ათასი მანეთის რაოდენობით.

სურათების ინტერნაციონალური გამოფენა. სომეხ ხელოვანთა სახლის სამხატვრო სექცია აპრილის პირველ რიცხვებში აწყობს სურათების ინტერნაციონალურ გამოფენას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის მხატვრები.

მოსკოვის სურათების გამოფენა. საოპერო ხელოვნების მუშაკთა ექსპერიმენტალურ სახელოსნოში (სასახლის ქ. № 5) გაიხსნა გამოჩენილ მხატვარის კ. მაკოვსკის სურათების გამოფენა. გამოფენაზე მრავალი საყურადღებო სურათებია.

ი. გ. ტერ-გრიგორიანის იუბილე. 25 იანვარს გაიმართება სომხური დრამის მსახიობის ი. გ. ტერ-გრიგორიანის იუბილე მისი 60 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

იუზა ზარდალიშვილის იუბილე. 25 იანვარს ქუთაისში გადახდილი იქნება იუზა ზარდალიშვილის 15 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

ახალი პიესა. რუსული დრამა ამზადებს დასადგმელათ ახალგაზრდა დრამატურგის ი. ჩერქეზიშვილის ახალ პიესას „სტიქიის წინააღმდეგ“ სამოქალაქო ომის ეპოქიდან. პიესას სდგამს ა. ალექსანდროვი.

„Красные стыки“. პროლეტარულმა მწერალმა ვას. იგნატოვმა დასწერა ახალი პიესა „Красные стыки“, რომელიც შეტანილია წითელი თეატრის რეპერტუარში.

26 კომუნარის დახვრეტა“ ბაქოს საბჭომ მხატვარ ი. ბროდსკის შეუკვეთა სურათი „26 26 კომუნარის დახვრეტა“.

ეპელბაუმის კონცერტები. თბილისში ჩამოვიდა ცნობილი მომღერალი, ებრაელთა ხალხური სიმღერების გამოჩენილი შემსრულებელი მ. ეპელბაუმი, რომელიც აქ გამართავს რამოდენიმე კონცერტს.

„აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ლენინგრადსა და მოსკოვში. მიმდინარე სეზონში ლენინგრადის და მოსკოვის აკადემიურ საოპერო თეატრებში დაიდგმება ქართული ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. სასურველათ არის ცნობილი, რომ ოპერები დადგას თბილისის საოპერო დასმა, რისთვისაც საჭირო იქნება საოპერო დასის, ორკესტრის და ბალეტის გამგზავრება მოსკოვსა დი ლენინგრადში.

„აბესალომ და ეთერი“ ეკრანზე. კოტე მარჯანიშვილმა დასწერა სცენარი „აბესალომ და ეთერი“, რომლის დადგმაც განზრახულია მიმდინარე სეზონში.

„კავკასიონი“. იბეჭდება და იანვრის დამლევს გამოვა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი „კავკასიონი“.

„მნათობი“. გამოვიდა ყოველთვიურ ჟურნალ „მნათობის“ დეკემბრის ნომერი.

„ლენინი ყველგან“. პროლეტარულმა მწერალმა ნ. ინასარიძემ დასწერა ახალი რევოლიუციონური პიესა „ლენინი ყველგან“, რომელიც დაიდგმება პროლეტარიატის წითელ თეატრში.

ქართული კინო-სტუდია მოსკოვში. მოსკოვში ქართული კულტურის სახლთან დაარსდა კინო-სტუდია, რომლის ხელმძღვანელებათ მოწვეულნი არიან კინო საქმის გამოჩენილი მცოდნენი.

ტიხონოვის მოწვევა. საქართველოს კინო-მრეწველობამ მუდმივ სამუშაოთ მოიწვია კინო-საქმის ცნობილი მცოდნე (ლაბორატორი) ტიხონოვი.

ტიხონოვის ცოდნა და გამოცდილება საშუალებას მისცემს კინო-მრეწველობას გააუმჯობესოს კინო-ფაბრიკის ლაბორატორიული ნაწილი.

„როზიტა“ „სევზაპკინო“-ს ამიერ კავკასიის განყოფილებამ მიიღო უცხოეთის პროდუქციის უკანასკნელი „ბოევიკი“, ცნობილი კინო-ლენტი „როზიტა“, რომელიც დადგმულია საქვეყნოთ ცნობილ რეჟისორის ერნსტ ლიუბიჩის მიერ. სურათში მოცეკვავე ქალის როლში გამოდის მერი პიკფორდი.

„ტარიელ მკლავაძე“ რეჟისორი პერესტიანი შეუდგა კინო-სურათ „ტარიელ მკლავაძის“ უკანასკნელ მანტაჟს.

სურათი ნაჩვენები იქნება თებერვლის შუა რიცხვები.

„წარსულის კოშმარები“. საქართველოს კინო-მრეწველობა საერთო სათაურით: „რკინის რაზმი“—გამოუშვებს რამოდენიმე სურათს. პირველი სურათი ამ ციკლიდან—„წარსულის კოშმარები“—უკვე მზათ არის და ამ დღეებში დაიწყება მისი ჩვენება. სცენარი გ. არუსტანოვის, დადგმა რეჟისორ ბარსკის.

სურათში დახასიათებულია 1900—1907 წლების რევოლიუციონური მოძრაობა ამიერ-კავკასიაში (კერძოთ საქართველოში).

„პალეასტომის ტბა“ რეჟისორ ა. წუწუნავას წინადადება მიეცა დასწეროს სცენარი ნინოშვილის მოთხრობის „პალეასტომის ტბის“ მიხედვით. სურათი დაიდგმება მიმდინარე სეზონში.

„26 კომუნარი“ საქართველოს კინო-მრეწველობამ შუამდგომლობა აღძრა რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წინაშე იმის შესახებ, რომ მას ნება მიეცეს დადგას სურათი „26 კომუნარი“ ბაქოს კომუნის ისტორიიდან.

„კამო“ საქართველოს კინო-მრეწველობამ წინადადება მისცა რეჟისორ იგნატოვს დაიწყოს მუშაობა კინო-სურათ „კამო“-ს გადასაღებათ. სურათში დახასიათებული იქნება რევოლიუციონური მოძრაობა ამიერ-კავკასიაში და საბჭოთა კავშირში.

კინო ნაძალადევში. რკინისგზელთა საუბნო პროფკავშირმა დაიწყო მუშაობა კინო-თეატრის მოსაწყობათ ნაძალადევის მუშათა თეატრში.

საქართველოს კინო მრეწველობასთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით ნაძალადევის კინო-თეატრს შეღავათიან პირობებში მიეცემა საქართველოს კინო-მრეწველობის უკანასკნელი სურათები „დაკარგული განძი“. და „სამი სიცოცხლე“.

პროკავშირმა წევრებისათვის და მათ ოჯახებისათვის ბილეთი ეღირება 10 კაპეიკი.

წითელ არმიელებისთვის. 26 იანვარს ძმ. ტანტის ცირკში ვ. დუროვი მართავს წარმოდგენას წითელ-არმიელებისათვის.

გამურული სახეები. დ. კობიძემ დასსერა ახალი პოემა „გამურული სახეები.“

სადარაჯოზე. ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად საკართველოს პროლეტკულტის ქართულმა ლიტერატურმა სტუდიამ გამოსცა ჟურნალ „სადარაჯოზე“ 1 მორიგი ნომერი.

სახელმწიფო კონსერვატორიაში მეცადინეობა განახლდა 16 იანვარს.

„ლენინი ყველგან.“ ნ. ინასარიძემ დასწერა ახალი პიესა „ლენინი ყველგან.“ პიესა 21 იანვარს დაიდგა პროლეტკულტის თეატრში.

რუსეთი.

„სპირალი“ ვ. შიშკოვმა დასწერა ახალი პიესა „სპირალი“.

„დედოფალის შეთქმულება“ ა. ტოლსტოიმ და შჩეგოლევმა დასწერეს ახალი ისტორიული დრამა „დედოფალის შეთქმულება“.

ევრეინოვის გამგზავრება. რეჟისორი ევრეინოვი საზღვარ-გარეთ მიემგზავრება.

ა. სუმბათაშვილი უკეთ არის და იანვრის დამლევს საზღვარ-გარეთ მიემგზავრება სამკურნალოდ.

მიმართვა ყველა მხატვრებისადმი. რევოლიუციონური რუსეთის მხატვართა ასოციაცია პირველ თებერვალს მოსკოვში აწყობს სურათების მეშვიდე გამოფენას და მიმართავს საბჭოთა კავშირის ყველა მხატვრებს მიიღონ მონაწილეობა გამოფენაში.

ახალი სცენარიები. გოსკინომ მიიღო დასადგამათ ახალი სცენარიები: „ორმოცდაათი წლის ბრძოლა“, „ქალი საბჭოთა-პარტიულ შკოლიდან“, „მიწის წვილები“.

კინო-ექსპედიციები. გოსკინო მიმდინარე ზაფხულში საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხეებში გზავნის კინო-ექსპედიციელებს ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების სურათების გადასაღებათ. ექსპედიციები გაგზავნილი იქნებიან: კავკასიაში, ალტაიში და დაღესტანში.

ლენინის გარდაცვალების წლის თავისათვის კინო ორგანიზაციები ამზადებენ მთელ რიგ სურათებს:

2 გოსკინო უშვებს მხატვრულ სურათს „როგორ იმგზავრა პეტკამ ილიჩთან“.

გარდა ამისა გოსკინო უშვებს „ლენინის კინო-სიმართლეს“ და „ლენინის სახ. კალენდარს“.

პროლეტკინო უშვებს „ლენინის კინო-ქრონიკას“, რომელშიც დასურათებული იქნება თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ლენინის ანდერძი.

სევზაპკინო უშვებს კინო-ქრონიკას.

„მეჟრაბპომი“ უშვებს დიდ მხატვრულ სურათს „მისი მოწოდება“. ეს უკანასკნელი სურათი დადგმულია რეჟისორ პროტოზანოვის მიერ.

ს. ს. ე. ს. პოლიგრტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პრ., № 91. მთავლიტი № 75. შეკვ. № 3098. ტირ. 12.000.